საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია

2021
25

სარჩევი

შემოკლებათა განმარტება 5

შესავალი 6

1. საქართველოს პროფილი 9

1.1 ეკონომიკური განვითარების ტენდენციები 10

1.2 პანდემია და ეკონომიკური შედეგები 13

2. ეკონომიკური პოლიტიკა და მთავრობის პრიორიტეტები 14

2.1 სტრატეგიული დოკუმენტები 14

2.2 ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმები 17

2.2.1 ბიზნესის დაწყება და ბიზნეს სერვისები 17

2.2.2 საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის აღება 18

2.2.3 საგადასახადო სისტემა 19

2.2.4. კორუფციასთან ბრძოლა 19

2.3 სამეწარმეო გარემოს შეფასება საერთაშორისო რეიტინგებში 19

3. მცირე და საშუალო მეწარმეობა 22

3.1 მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება/კრიტერიუმები 23

3.2 მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკა 23

3.3 მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები და პროგრამები 29

4. სტრატეგიის ხედვა, მიზანი, შემუშავების მეთოდოლოგია და ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები 32

სტრატეგიის ხედვა 32

სტრატეგიის მიზანი 32

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია 32

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები 34

სამიზნე მაჩვენებლები 35

5. ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები 35

პრიორიტეტი 1: საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის 35

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა 41

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 46

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.....51
პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის 55
პრიორიტეტი 6: ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.....58
პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.....63
6. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.....67
6.1 განხორციელება.....67
6.2 მონიტორინგი.....69
6.3 შეფასება.....70

დიაგრამა 1. მშპ-ს სტრუქტურა, 2019 წელი.....10
დიაგრამა 2. . მშპ-ს რეალური ზრდა (%).....10
დიაგრამა 3. მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი (OECD).....21
დიაგრამა 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა.....24
დიაგრამა 5. მცირე და საშუალო საწარმოთა გამოშვება.....24
დიაგრამა 6. მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება.....25
დიაგრამა 7. მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობა.....25
დიაგრამა 8. მცირე და საშუალო საწარმოთა დასაქმებულთა რაოდენობა.....26
დიაგრამა 9. მცირე და საშუალო საწარმოთა შრომის თვიური ანაზღაურება.....26
დიაგრამა 10. მცირე და საშუალო საწარმოთა 2020 წლის, წლიური და კვარტალური სტატისტიკა.....27
დიაგრამა 11. SME დაკრედიტება.....46
დიაგრამა 12. საწარმოების წილი ექსპორტში საწარმოთა ზომის მიხედვით (%).....51

შემოკლებათა განმარტება

AA	ასოცირების შეთანხმება
DCFTA	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
ETF	ევროპის განათლების ფონდი
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GITA	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
SBA for EU	მცირე ბიზნესის აქტი ევროპისთვის
EFTA	ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია
GSP	პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა
MFN	უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
WTO	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
CIS	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას და სამუშაო ადგილების შემქმნელს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე და მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. აღნიშნული ასახულია 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და მის ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემლად შეიძლება იქნას მიჩნეული. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. ამასთანავე, მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ახალი ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გამოყენებაში, მათი ინოვაციური და მოქნილი სტრუქტურების გამო.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უამრავ, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება, როგორც ძირითადი საშუალება „ინკლუზიური ზრდის“ და „დასაქმების“ მიზნების მისაღწევად. ევროკავშირში მოქმედი დაახლოებით 26 მილიონი მცირე და საშუალო საწარმო 109 მილიონი ადამიანისთვის უზრუნველყოფს დასაქმებას და ევროპის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2/3-ს ქმნის[1]. საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმებულთა წილი 65%-ს, ხოლო მათი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 59%-ს უტოლდება (2019 წ.)[2].

საქართველოს მთავრობის მიერ, ქვეყნის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პირველი სტრატეგია (2016-2020 წწ) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შემუშავდა ევროკავშირის მხარდაჭერით, და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა (OECD) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) აქტიური თანამშრომლობით. დოკუმენტი საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2016 წელს. სტრატეგიის განხორციელების პროცესმა სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი აქტორი გააერთიანა, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო მისი წარმატებით განხორციელება. საყურადღებოა, რომ 2016-2020 წლების სტრატეგიით განსაზღვრული

[1] EuroStat. 2019. Statistics on SMEs. https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Statistics_on_small_and_medium-sized_enterprises

[2] საქსტატის 2019 წლის მონაცემები. www.geostat.ge

სამიზნე მაჩვენებლები წარმატებით სრულდებოდა პირველივე წლიდან, რაც ასახულია სტრატეგიის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშებში.[3]

სტრატეგიის განხორციელების ბოლო, 2020 წელი დაემთხვა კოვიდ-19-ის გლობალურ პანდემიას და მისგან გამოწვეულ კრიზისს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე, ზიანი მიაყენა ბიზნესის საქიანობას და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ამ ვითარებაში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემდგომი, 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავებამ და ამ სექტორში სამომავლო ხედვების, პრიორიტეტული მიმართულებების, შესაბამისი ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრამ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარების შემდგომი სტრატეგიული ხედვის არსებობის აქტუალურობას აძლიერებს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)), რომლის კონტექსტშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. 2021-2025 წწ. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა და მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

წინამდებარე სტრატეგია ეფუძნება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებს, მათ შორის მის უმთავრეს პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First[4]) და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის კუთხით. მისი მთავარი მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო მეწარმეობის პანდემიური კრიზისიდან გამოყვანას და შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. ამრიგად, აღნიშნული პრინციპით სტრატეგიის შემუშავების უმთავრესი მიზანია, განსაზღვროს მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში ქვეყნის კონკრეტული ინტერესები, წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების გზით მოარგოს მათ შესაბამისი პოლიტიკა და მისი აღსრულებით უპასუხოს მცირე და საშუალო მეწარმეობის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებთან. ამასთან, სტრატეგიაში დასახულია სამიზნე მაჩვენებლები, რომელთა მიღწევა უნდა მოხდეს 2025 წლისთვის. საყურადღებოა, რომ

[3] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.economy.ge/?page=economy&s=85

[4] ევროპის მცირე ბიზნესის აქტი „Small Business Act for Europe”, 2008

სტრატეგიაში გათვალისწინებული და ასახულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, 2018 წელს წინა სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები[5], ასევე „SME Policy Index - 2020“ OECD-ის კვლევის ანგარიშში, საქართველოსთან მიმართებით შემუშავებული საგზაო რუკით განსაზღვრული საკითხები[6].

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით, OECD-ისა და GIZ-თან აქტიური თანამშრომლობით. ამასთან, სტრატეგია შემუშავებული იქნა სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის ფართო ჩართულობით. შემუშავების პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული საჯარო-კერძო დიალოგის გაძლიერების კუთხით არსებული პლატფორმა - „კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო“[7] და აღნიშნულ საბჭოსთან არსებული „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით შექმნილი ქვე-საბჭო“[8].

[5] OECD „Monitoring Georgia's SME Development Strategy 2016- 2020“, 2018

[6] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020, Assessing the implementation of the Small Business Act for Europe, "Georgia: Roadmap for policy reforms"

[7] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება, N1-1/48, 3.02.2016

[8] http://www.economy.ge/?page=economy&s=84

1. საქართველოს პროფილი

საქართველოს პროფილი	2019	2020 [9]
მოსახლეობის რიცხოვნობა, კაცი (1 იანვრის მდგომარეობით)	3, 723, 464	3,716,858
მშპ მიმდინარე ფასებში	49.3 მლრდ. ლარი	49.4 მლრდ. ლარი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	13,239.4 ლარი	13,292.7 ლარი
მშპ-ს რეალური ზრდა (%, წლიური)	5.0%	- 6.2%
უმუშევრობის დონე[10]	17.6%	18.5%
ჯინის კოეფიციენტი[11]	0.37	0.36
სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)	19.5%	21.3%
მცირე და საშუალო მეწარმეობის სტატისტიკა		
SME წილი მთლიან მოქმედ საწარმოებში (%)	99.7%	99.7%
SME წილი მთლიან დასაქმებაში (%)	65.0%	59.3%
SME წილი მთლიან გამოშვებაში (%)	58.4 %	58.0%
SME წილი მთლიან ბრუნვაში (%)	44.5%	40.8%
SME წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში (%)	59.3%	-

[9] წინასწარი მონაცემები (2020 წლის კვარტლების ჯამი), საქსტატი;

[10] ახალი სტანდარტით: 2019-2020 წლებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ევროკავშირის და ევროსტატის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, საქსტატის მიერ სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიაში ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა. ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის.

[11] ჯინის კოეფიციეტი (უთანაბრობის მაჩვენებელი) აჩვენებს რაიმე მაჩვენებლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის კოეფიციენტი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას - ერთის.

1.1 ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც კერძო სექტორი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე, ბიზნეს სექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებაზე.

ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის პრიორიტეტები და მიმართულებები ორიენტირებულია გრძელვადიან, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. თუმცა, 2020 წლის პანდემიამ, რომელიც მნიშვნელოვანი საფრთხე და რთული გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის, გარკვეული ცვლილებები შეიტანა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში.

რაც შეეხება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას, 2019 წელს, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და 5.0% შეადგინა.

დიაგრამა 1. მშპ-ს სტრუქტურა, 2019 წელი



დიაგრამა 2. . მშპ-ს რეალური ზრდა (%)

წყარო; საქსტატი

*2020 წ. წინასწარი მონაცემი

2019 წელს მშპ-ში ყველაზე მაღალი წილი ვაჭრობის სექტორზე მოდის და 14.3% შეადგენს. მშპ-ს სტრუქტურაში მეორე უმსხვილესი სექტორია უძრავ ქონებასთან

დაკავშირებული საქმიანობები, რომელიც 11.5%-ს უტოლდება, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობა 10.1%-ით მესამე პოზიციას იკავებს.

თავის მხრივ, 2019 წელს მშპ-ში ყველაზე მაღალი ზრდა ხელოვნების, გართობის და დასვენების სექტორში დაფიქსირდა და ზრდამ 22.1% შეადგინა. წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების სექტორში 21.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორი წინა წელთან შედარებით 21.4%-ით გაიზარდა.

2019 წელს მშპ-ს რეალური ზრდის ფორმირებაში ყველაზე მაღალი წვლილი ვაჭრობის (1.0 პ.პ), სასტუმროსა და რესტორნების (0.7 პ.პ) და ხელოვნება, გართობა, დასვენების (0.6 პ.პ) სექტორებმა შეიტანეს.

2015-2019 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით ცვალებადი ტენდენციაა. 2017 წლის ისტორიულად მაღალი მაჩვენებლის შემდეგ, როდესაც მთლიან შიდა პროდუქტში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ასევე მაღალი იყო და 12.2%-ს შეადგენდა, ინვესტიციები კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია მსხვილი საინვესტიციო პროექტების (მ.შ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის) დასრულებით. კერძოდ, 2019 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 1.3 მლრდ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 24.2%-ით ნაკლებია. 2019 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 68.4% მოდის 5 სექტორზე - საფინანსო სექტორი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სასტუმროები და რესტორნები და დამამუშავებელი მრეწველობა. რაც შეეხება, ქვეყნებს, 2019 წელს, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ხუთეული მოიცავდა გაერთიანებულ სამეფოს, თურქეთს, ირლანდიას, აშშ-ს და ნიდერლანდებს (მთლიანი ინვესტიციების 57.8%).

რაც შეეხება უმუშევრობის მაჩვენებელს, 2019 წლის მაჩვენებელი 17.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან შედარებით შემცირებულია როგორც უმუშევრების, ისე დასაქმებულების რაოდენობა. შესაბამისად, შემცირებულია სამუშაო ძალა.

2019 წელს, საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის დონე, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრით წილს გულისხმობს, 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით) და 19.5% შეადგინა. ამასთან, საგულისხმოა, რომ სიღარიბის დონის შემცირება დაფიქსირდა როგორც ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე გენდერულ ჭრილშიც. კერძოდ, აბსოლუტური სიღარიბე ქალებში შემცირდა 0.8, ხოლო კაცებში - 0.4 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 19.4% და 19.6% შეადგინა. შემცირება დაფიქსირდა ჯინის კოეფიციენტთან მიმართებითაც და იგი 0.36-ს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდა გახდა მეტად ინკლუზიური, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართულმა სახელმწიფო პროგრამებმა

და სოციალური დაცვის სისტემის გაფართოებამ, ასევე ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და საბაზისო სერვისებზე თანაბარმა ხელმისაწვდომობამ.

1.1.1. საგარეო ვაჭრობა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები

საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ფართო ქსელი, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ჩათვლით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფო თანამეგობრობასთან (CIS) და თურქეთთან (2008 წლიდან), თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან და ჰონგ-კონგთან, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშ-სთან, კანადასთან და იაპონიასთან.

ზემოაღნიშნული შეთანხმებებიდან გამორჩეულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ვინაიდან ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირების განვითარების გარდა, ის ითვალისწინებს საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებას ევროკავშირთან. შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმება მოიცავს ვალდებულებების ფართო სპექტრს სხვადასხვა მიმართულებით, რამაც, საბოლოო ჯამში, საქართველოს ბაზარი და ინსტიტუტები უნდა გახადოს უფრო თავსებადი ევროკავშირის ბაზართან და შესაბამის ინსტიტუტებთან.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის ბოლო წლების ტენდენციებს, 2015-2019 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, ამ პერიოდში, საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 1.4-ჯერ, ექსპორტი - 1.7-ჯერ, ხოლო იმპორტი - 1.3-ჯერ. შედეგად, 2019 წლისთვის, საგარეო სავაჭრო ბრუნვამ მიაღწია 13.3 მლრდ. აშშ დოლარს, საიდანაც ექსპორტი არის 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მ.შ. ადგილობრივი ექსპორტი - 2.3 მლრდ. აშშ დოლარი), ხოლო იმპორტი - 9.5 მლრდ. აშშ დოლარი. 2019 წლისთვის, 5 უმსხვილესი საექსპორტო პროდუქცია იყო მსუბუქი ავტომობილები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, ღვინო და სამკურნალო საშუალებები (მთლიანი ექსპორტის 54.8%), ხოლო ძირითადი საექსპორტო ქვეყნები - აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი, ბულგარეთი და უკრაინა, რომლებზეც მთლიანი ექსპორტის ნახევარზე მეტი მოდის (52%).

რაც შეეხება იმპორტს, ძირითად საიმპორტო პროდუქციას წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სამკურნალო საშუალებები და ნავთობის აირები (მთლიანი იმპორტის 33%), ხოლო ძირითადი საიმპორტო ქვეყნებია თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, აშშ და აზერბაიჯანი (49.3%-იანი წილით მთლიან იმპორტში).

2019 წელს, საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებში შეადგინა 819.2 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 21.6%), რაც 2015 წელთან შედარებით გაზრდილია

27%-ით. რაც შეეხება იმპორტს, ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტმა შეადგინა 2.4 მლრდ. აშშ დოლარი (მთლიანი იმპორტის 25.3%), რაც 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 15.6%-ით.

1.2 პანდემია და ეკონომიკური შედეგები

კორონავირუსი (COVID-19) მნიშვნელოვანი საფრთხე და რთული გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის. ინფიცირებულთა სწრაფად მზარდმა რაოდენობამ და ვირუსის გავრცელების ფართო არეალმა მთელ მსოფლიოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ბოლო წლების დადებითი ტენდენციები. პანდემიის შედეგად გამოწვეული შოკი იყო ორმხრივი - როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრიდან. ქვეყანაში მნიშვნელოვნად დაზარალდა ეკონომიკური აქტივობისა და შემოსავლების როგორც შიდა, ისე გარე წყაროები. კერძოდ, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა საგარეო დაფინანსების ისეთ წყაროებს, როგორიცაა ტურიზმი და ექსპორტი. რაც შეეხება, შიდა ეკონომიკურ აქტივობას, პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ერთობლივ მოთხოვნას და გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის შენელება. შედეგად, გაიზარდა უმუშევრობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით (აპრილი, 2021), საქართველოს ეკონომიკა პოზიტიურ დინამიკას დაუბრუნდება 2021 წელს და ექნება ყველაზე მაღალი ზრდა რეგიონის და ევროპის ქვეყნებს შორის.

რაც შეეხება 2020 წლის ეკონომიკურ პარამეტრებს, გლობალური პანდემიისა და შემოღებული შეზღუდვების შედეგად, წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს, საქართველოს მშპ შემცირდა 6.2%-ით.

გარდა ამისა, 2020 წლის მონაცემებით, ექსპორტი შემცირდა 12%-ით (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით), ხოლო იმპორტი - 15.6%-ით. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ექსპორტის შემცირება რე-ექსპორტის კლებით იყო განპირობებული, ადგილობრივი ექსპორტი კი 3.5%-ით გაიზარდა და კორონა ვირუსთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, 2020 წელს ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 2,406.9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, აქ კლება 2020 წელსაც გრძელდება და 2020 წლის მონაცემებით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 616.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემებზე 52.9%-ით ნაკლებია. 2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი შემცირდა მთლიან შიდა პროდუქტშიც და 3.9% შეადგინა.

შენელებული ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკური კლება უარყოფითად აისახება დასაქმების მაჩვენებლებზე. 2020 წლის მონაცემებით, უმუშევრობის მაჩვენებელი

გაიზარდა 0.9 პროცენტული პუნქტით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 18.5% შეადგინა[12]. აქედან, კაცების უმუშევრობამ 20.2% შეადგინა (გაიზარდა 1.3 პროცენტული პუნქტით), ხოლო ქალების უმუშევრობამ - 16.2% (გაიზარდა 0.2 პროცენტული პუნქტით). ამასთან, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე) კაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. კერძოდ, 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 40.4%-ს (შემცირებულია 2.7 პროცენტული პუნქტით), ხოლო კაცებში 62%-ს (გაზრდილია 0.3 პროცენტული პუნქტით) შეადგენდა.

2. ეკონომიკური პოლიტიკა და მთავრობის პრიორიტეტები

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნა, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება. ასევე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვან პრიორიტეტსა და საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

2.1 სტრატეგიული დოკუმენტები

სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“

სამთავრობო პროგრამის უმთავრესი მიზანია კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეფექტების დაძლევა, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება.

ამასთან, სამთავრობო პროგრამაში ეკონომიკური განვითარების მიმართულებით საკვანძო ამოცანებად დასახელებულია ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის პოსტკრიზისული სწრაფი აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემდგომი ხელშეწყობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, პროგრამაში ხაზგასმულია წარმოდგენილი სტრატეგიის მნიშვნელობა.

[12] საქსტატის ახლად დამტკიცებული სტანდარტით გადაანგარიშებული მონაცემები

საქართველო-ევროკავშირი ასოცირების შეთანხმება

ასოცირების შეთანხმების მე-6 კარის მე-5 თავში „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა“ ხაზგასმულია მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების შესაბამისად. იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი განხორციელდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეგულარული დიალოგის ფარგლებში.

ამასთან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების საშუალო ვადიანი (2021-2023 წლები) სამოქმედო გეგმა ამოცანებს შორის ასახელებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და/ან ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით, მცირე და საშუალო ბიზნესების საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდას ექსპორტის მენეჯერების გადამზადების გზით, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის შეხვედრების ორგანიზებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის დაახლოების პროცესში მეწარმეთა მომზადებისთვის და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია

სტრატეგიის ხედვაა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირება/განვითარება, სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ამასთან, სტრატეგიაში სოფლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობასთან მიმართებით, გამოვლენილ ძლიერ მხარეთა შორის დასახელებულია მცირე და საშუალო საწარმოების მზარდი პროდუქტიულობა, რასაც ძირითადად არასასოფლო სამეურნეო სექტორის განვითარება უწყობს ხელს.

საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა

პროგრამაში, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სხვა მნიშვნელოვან პრიორიტეტებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერას, ასევე ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას.

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია

სტრატეგია მიზნად ისახავს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ადამიანების საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და 2023 წლისთვის იქ არსებული დემოგრაფიული ვითარების შერბილებას მაღალმთიან რეგიონებში არსებული სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით. სტრატეგია აერთიანებს 13 ამოცანას, რომელთა შორისაა სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა, საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა და მართვის/ მომსახურების ინოვაციური სისტემების დანერგვა.

ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია

მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ნარჩენების მართვა. შესაბამისად, საყურადღებოა, ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სტრატეგიის თანახმად: „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, რაც სხვა მნიშვნელოვან აქტივობებთან ერთად მიიღწევა ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება, ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვა, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვა. ამასთან, იმის გათვალიწინებით, რომ ნარჩენების წარმომქმნელი კერძო კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა ნარჩენების გადამუშავებასა და, ზოგადად, ნარჩენების მართვაზე, ისევე როგორც დაბალია საზოგადოების ცნობიერება აღნიშნულთან მიმართებით, სტრატეგია უმნიშვნელოვანეს მიმართულებად განიხილავს ცნობიერების ამაღლების საკითხს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

„საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ში სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად ხაზგასმულია განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან და განათლების ყველა საფეხურზე, მეწარმეობრივი უნარების განვითარების მნიშვნელობა.

2.2 ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმები

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარ მიზანს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შემდგომი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა. ლიბერალური კანონმდებლობით, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირებით, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებითა და კორუფციის შემცირებით საქართველო რეგიონალურ ლიდერად იქცა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნეს გარემოს კუთხით, რომელიც ყოველწლიურად უმჯობესდება.

2.2.1 ბიზნესის დაწყება და ბიზნეს სერვისები

ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა ბიზნესის ეფექტური რეგისტრაციის და სერვისების სისტემის შექმნა განაპირობა და საქართველო ბიზნესის დაწყების სიმარტივით, მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე მყოფ ქვეყნად გადააქცია. აღნიშნული საერთაშორისო კვლევებითაც დასტურდება. კერძოდ, მსოფლიო ბანკის 2019 წლის კვლევის („Doing Business 2020") თანახმად, საქართველო ბიზნესის დაწყების კომპონენტით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-2 პოზიციას იკავებს. ქვეყანაში ფუნქციონირებს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მიერ შექმნილი „ერთი სარკმლის პრინციპი" და იგი ყველა პირისათვის ხელმისაწვდომია. სარეგისტრაციო მომსახურებისთვის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ტერიტორიულ ოფისებს, იუსტიციის სახლებს, სათემო ცენტრებსა და „საჯარო რეესტრის" სხვა უფლებამოსილ მომხმარებლებს. ამასთან, ბიზნესის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე - my.gov.ge, ბიზნესის რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა სერვისი გახდა ხელმისაწვდომი, მეწარმეებს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეუძლიათ დაარეგისტრირონ ბიზნესი, განახორციელონ ცვლილება რეგისტრირებულ მონაცემებში, შემოსავლების სამსახურში ვიზიტის გარეშე, ერთი ფანჯრის პრინციპით, დამატებული ღირებულების გადამხდელად დარეგისტრირდნენ და ა.შ. ბიზნესთან დაკავშირებული პროცედურები კიდევ უფრო გამარტივდა „ელექტრონული კრებების" ინოვაციური სერვისის დანერგვით. შპს-ს პარტნიორებს შესაძლებლობა მიეცათ დაზოგონ დრო და მმართველობითი ორგანოს კრებები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ელექტრონულ სივრცეში მოიწვიონ, ჩაატარონ, გადაწყვეტილებები მიიღონ და სარეგისტრაციოდ ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტები გამოაგზავნონ. 2020 წლიდან კი my.gov.ge პორტალზე დისტანციურად უკვე საჯარო რეესტრის 184 სერვისი გახდა ხელმისაწვდომი. დაინტერესებულ პირს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია: უძრავი ნივთის რეგისტრაციის (ნასყიდობა, ჩუქება, იპოთეკით დატვირთვა, იჯარა და ა.შ.), ეკონომიკური საქმიანობის (რეგისტრაცია, ვადის გაგრძელება და საქმიანობის შეწყვეტა), საჯარო შეზღუდვებისა და სამისამართო რეესტრების ყველა სერვისის მიღება, ინფორმაციისა და

დოკუმენტის ასლების მოთხოვნა და სხვ. ამასთანავე, პორტალზე სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტაციის სტანდარტული ელექტრონული ფორმებიც განთავსდა, რამაც მომხმარებელს დოკუმენტის შევსების პროცედურა გაუმარტივა და მაქსიმალურად შეამცირა დოკუმენტის შედგენისას შეცდომის დაშვების რისკი. დისტანციური სერვისების ნაწილი კი ელექტრონული ფოსტითაც გაიცემა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ონლაინ სერვისების და მათ შორის, ერთიანი პორტალის my.gov.ge-ს განვითარებისთვის, აღნიშნული მიმართულება საჭიროებს მეტ დახვეწას სიმარტივისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

2.2.2 საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის აღება

განხორციელებული რეფორმების შედეგად, ქვეყანაში ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროთა რაოდენობა თითქმის 85%-ით შემცირდა და აღნიშნულს დაექვემდებარა მხოლოდ ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. ერთი კანონით არის განსაზღვრული ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავი ჩამონათვალი და ამასთან, დაუშვებელია სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით ლიცენზიისა და ნებართვის შემოღება ამ კანონით გაუთვალისწინებელ საქმიანობასა და ქმედებაზე.

ამასთან, ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემა განხორციელებული რეფორმების შედეგად ქვეყანაში გამარტივებულია პროცედურულად და დაქვემდებარებულია **„ერთი სარკმლის პრინციპს“**, რაც გულისხმობს ისეთი ადმინისტრაციული წარმოების წესს, როდესაც ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემა ასევე ეყრდნობა **„დუმილი თანხმობის ნიშანია“** პრინციპს, რაც გულისხმობს ლიცენზიის/ნებართვის გაცემულად ჩათვლას იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

სალიცენზიო/სანებართვო სისტემის ზემოაღნიშნული რეფორმირების მიუხედავად, მნიშვნელოვანია მისი შემდგომი დახვეწა, ელექტრონული ხელმისაწვდომობის ზრდა და გაუმჯობესება.

2.2.3 საგადასახადო სისტემა

ბოლო წლების განმავლობაში საგადასახადო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა და მეტად ეფექტიანი გახდა საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა. კერძოდ, საგადასახადო ვალდებულების შესრულება გამარტივდა ელექტრონული სისტემის გამოყენებითა და გადასახადის გადამხდელისთვის ხელსაყრელი დისტანციური სერვისების განვითარებით. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი მოდელის შესაბამისად გაუნაწილებელი მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან. ასევე, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, დღგ-ის კანონმდებლობა სრულად მოვიდა შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. დაინერგა დღგ-ს ზედმეტობის სრულად ავტომატური დაბრუნების სისტემა. გატარებული რეფორმების შედეგად, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ანგარიშგებისთვის საჭირო დრო და მთლიანი საგადასახადო ტვირთი, რომლის წილი მთლიან მოგებაში 9.9%-ს შეადგენს, რითაც საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია რეფორმების გაგრძელება, მათ შორის მნიშვნელოვანია გაგრძელდეს როგორც საგადასახადო ადმინისტრაციის შემდგომი გაციფრულების პროცესი, ასევე გაგრძელდეს რეფორმები საგადასახადო დავების მოგვარების ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით.

2.2.4. კორუფციასთან ბრძოლა

ლიბერალიზაციაზე მიმართული რეფორმების, სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული განვითარების, სახელმწიფო სერვისების ელექტრონული ხელმისაწვდომობის და სხვ. შედეგად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციის მაჩვენებლები. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 45-ე ადგილზეა და ამ მაჩვენებლით იგი ლიდერია რეგიონში და ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანასაც უსწრებს.

მიღწეული შედეგის მიუხედავად, მნიშვნელოვანია კორუფციასთან ბრძოლის, როგორც პრიორიტეტული მიმართულების შენარჩუნება და ამ მხრივ რეფორმების გაგრძელება, მათ შორის, სახელმწიფო სერვისების ონლაინ ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ადმინისტრირების შემდგომი გამარტივების მიმართულებით.

2.3 სამეწარმეო გარემოს შეფასება საერთაშორისო რეიტინგებში

ბოლო 8 წლის განმავლობაში მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ბიზნესგარემოს გაუმჯობესების და მეწარმეობის ხელშეწყობისთვის. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები პოზიტიურად ფასდება საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ და საერთაშორისო საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევს. სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანმა განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება

ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში, რაც საქართველოზე, როგორც რეფორმატორი ქვეყნის იმიჯზე, პოზიტიურად აისახება.

ამ მხრივ აღსანიშნავია, მსოფლიო ბანკის **„ბიზნესის კეთების“** რეიტინგი, სადაც 2020 წელს საქართველო ბიზნეს გარემოს გამაუმჯობესებელ, იმ წარმატებულ ქვეყანათა ტოპ ათეულშია, რომელთაც მსოფლიო ბანკის რეიტინგში რამდენიმე ციკლის განმავლობაში თანამიმდევრულად, ზედიზედ გაიუმჯობესეს ბიზნეს გარემო.

საქართველო მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-7 პოზიციას იკავებს, სადაც ბიზნესის დაწყება და ქონების რეგისტრაცია მხოლოდ ერთი პროცედურით იმავე დღეს არის შესაძლებელი; მინიმალურია საგადასახადო ტვირთი, ხოლო საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების სიმარტივე და გადამხდელებისთვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა არაერთი სისტემური რეფორმის შედეგია.

Heritage Foundation-ის 2020 წლის **„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“** რეიტინგში საქართველო „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით მე-12 ადგილს იკავებს. ინდექსი ქვეყნებს აფასებს კანონის უზენაესობის, მთავრობის მოცულობის, რეგულაციების ეფექტიანობის და ღია ბაზრის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ კვლევის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა კვლავ აგრძელებს თავის შთამბეჭდავ 7 წლიან ზრდას თავისუფლების სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: კორუფციის აღმოფხვრა, რეგულაციების შემცირება და გადასახადების გამარტივება. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა არაერთმა რეფორმამ ხელი შეუწყო ყველა ასპექტში ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესებას.

Fraser Institute-ის 2020 წლის **„მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“** რეიტინგში, საქართველომ მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის მე-8 პოზიცია დაიკავა. რეიტინგში ქვეყნის პოზიციის გაუმჯობესება განაპირობა რიგმა ფაქტორებმა, როგორიცაა: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დადებითი ტემპი ბოლო წლების განმავლობაში, ტრანსფერებისა და სუბსიდიების სწორი და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, მთავრობის მოხმარების წილის შემცირება მთლიან მოხმარებაში, ქვეყანაში განხორციელებული ეფექტური საგადასახადო რეფორმა, ინვესტორებისთვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა და მთავრობის მიერ განხორციელებული სამართლებრივი სისტემური რეფორმები.

მსოფლიო ბანკის **„მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“** მსოფლიოს 214 ქვეყანას მმართველობის 6 მიმართულებით აფასებს, მათ შორის, როგორიცაა: მმართველობის ეფექტურობა, რეგულაციების ხარისხი და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს „მმართველობის ეფექტურობის“ ინდიკატორში საქართველოს ქულამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ქვეყანამ 76.92 ქულით 49-ე პოზიცია დაიკავა. „რეგულაციების ხარისხის“ ინდიკატორში კი საქართველომ შეფასების რანგირების 100%-იანი შკალიდან 82.69% დაიმსახურა და 2019 წელს მსოფლიოში 37-ე ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის **„გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“** (GCI) აფასებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს გარემოს ფორმირებისათვის და ხელს უწყობენ ქვეყნის მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. 2019 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ ანგარიშის მიხედვით, 12 ინდიკატორიდან საქართველოს სარეიტინგო ქულა გაუმჯობესდა 6 მიმართულებით, რომელთა შორისაა ფინანსური სისტემა, ბიზნესის დინამიურობა და ინოვაციური შესაძლებლობები.

აღსანიშნავია ასევე „SME Policy Index 2020“ - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა, რომელიც ქვეყნებს აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან“ შესაბამისობის თვალსაზრისით.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი“ საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა) აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის მიმართულებით.

რეიტინგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს აფასებს 12 კომპონენტის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ იყოფა 34 ქვეკომპონენტად. რეიტინგი მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით ქვეყნებს აფასებს 1-დან 5 ქულამდე.

საქართველომ 2020 წლის რეიტინგში უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია. ანგარიშის თანახმად, საქართველოს შეფასება და შესაბამისად ქულა (წინა 2016 წლის რეიტინგთან შედარებით) რეიტინგის 12 კომპონენტიდან 12-ვეში გაუმჯობესდა, ხოლო 12-დან 9 კომპონენტში ქვეყანა უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის.

დიაგრამა 3. მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი (OECD)



OECD-ის ანგარიშის თანახმად, საქართველომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისადმი უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომითა და შესაბამისი მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებით შემდგომი პროგრესი განიცადა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამასთან, კვლევის თანახმად, საქართველომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა სამეწარმეო სწავლების, ასევე, მცირე და საშუალო მეწარმეობის ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. ამასთან, ანგარიშის თანახმად, არსებობს შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: გადახდისუუნარობა და მეორე შანსი, მცირე და საშუალო მეწარმეობა მწვანე ეკონომიკაში, ინოვაცია მცირე და საშუალო მეწარმეობაში და ინტერნაციონალიზაცია.

ზემოაღნიშნულის გარდა, OECD-ის კვლევის - "Investment Policy Review of Georgia" თანახმად FDI Regulatory Restrictiveness Index-ში საქართველომ დაიკავა მე-8 პოზიცია 80-ზე მეტ ქვეყანას შორის, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღია ეკონომიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის "Gender Gap"-ის ანგარიშის თანახმად, საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია და 2021 წელს 156 ქვეყანას შორის 49 ადგილი დაიკავა (2017 წელთან შედარებით, სადაც საქართველო 144 ქვეყნიდან 95 ადგილზე იყო). ქალთა "ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების შესახებ" კომპონენტის ნაწილში კი, საქართველო 2017 წელს 74-ე ადგილზე იყო, ხოლო 2021 წელს 10 პოზიციით დაწინაურდა და 64-ე ადგილზე გადავიდა.

3. მცირე და საშუალო მეწარმეობა

საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ზოგადად მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის, უმთავრესია მაკროეკონომიკური სტაბილურობა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირების თვალსაზრისით, ხოლო აღნიშნული, თავის მხრივ, წარმოადგენს საფუძველს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და მწარმოებლურობის ზრდისთვის.

დღეს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მოქმედ საწარმოთა 99.7%-ს უტოლდება, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური, ასევე, სოციალური თვალსაზრისით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოციალური გავლენის თვალსაზრისით, დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის

განვითარებას ეკისრება, რადგანაც ის ასაქმებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და უზრუნველყოფს მათი შემოსავლების ზრდას.

თავის მხრივ, აღსანიშნავია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ფისკალური ეფექტი, რომელიც დადებითად ზემოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტზე როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილში. კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ერთის მხრივ, უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლებს გადასახადების სახით, ხოლო მეორეს მხრივ, ამცირებს საბიუჯეტო დანახარჯებს, რამდენადაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ზრდის დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამისი სოციალურ ტრანსფერების გამოყოფის საჭიროებას.

3.1 მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება/კრიტერიუმები

საქართველოს 2016-2020 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლება. მცირე და საშუალო საწარმოთა პირვანდელი განმარტება შემუშავებული იყო 2002 წელს და ევროკავშირის განმარტების შესაბამისად ეყრდნობოდა საწარმოთა ბრუნვასა და დასაქმებულთა საშუალო წლიურ რაოდენობას. თუმცა, კრიტერიუმების დადგენილი ზღვრები არ შეესაბამებოდა ევროკავშირის თანამედროვე კრიტერიუმებს.

შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოთა არსებული განმარტების ანალიზის, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის და დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნული საკითხის განხილვის შედეგად, შემუშავდა მცირე და საშუალო საწარმოთა კრიტერიუმების ახალი ზღვრები, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე, საწარმოთა ბრუნვის მიხედვით და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

საწარმოს ტიპი	დასაქმება წლიურად	ბრუნვა ფისკალური წლის განმავლობაში
მცირე	50-მდე დასაქმებული	არაუმეტეს 12 მლნ. ლარისა
საშუალო	50-დან 250-მდე დასაქმებული	12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე

3.2 მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკა[13]

2015-2019 წლებში, სამეწარმეო საქმიანობის ყველა პარამეტრში მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა. კერძოდ, ბიზნეს სექტორის ბრუნვა გაიზარდა 1.9-ჯერ, გამოშვება გაიზარდა 1.6-ჯერ, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა - 1.2-ჯერ.

საქართველოში 2019 წელს ბიზნეს სექტორის **ბრუნვის** მოცულობამ 109 მლრდ. ლარი შეადგინა. აქედან 90% მოდის 5 სექტორზე - მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა,

[13] წყარო: საქსტატი

ტრანსპორტი და დასაწყობება და ხელოვნების, გართობისა და დასვენების ინდუსტრია. მზარდია მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვაც, რომელმაც 2019 წელს 48.5 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბრუნვის 44.5%-ია.

დიაგრამა 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა



განსხვავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წილის მაჩვენებლები მთლიან **გამოშვებაში**, კერძოდ, 2019 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის გამოშვებამ 27.7 მლრდ. ლარი, მთლიანი გამოშვების 58% შეადგინა. მათ შორის, საშუალო საწარმოთა გამოშვებამ 26%, ხოლო მცირე საწარმოების გამოშვებამ ბიზნეს სექტორის მთლიან მაჩვენებელში 32% შეადგინა.

დიაგრამა 5. მცირე და საშუალო საწარმოთა გამოშვება



2019 წელს ბიზნეს სექტორში შექმნილმა **დამატებულმა ღირებულებამ** 23.3 მლრდ. ლარი შეადგინა. მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 59%-ს გაუტოლდა, ხოლო ნომინალურ გამოხატულებაში 13.8 მლრდ. ლარი შეადგინა.

დიაგრამა 6. მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება



2019 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის **მწარმოებლურობამ** 28,077ლარი შეადგინა, მათ შორის საშუალო ზომის საწარმოთა მწარმოებლურობამ 38,728 ლარი შეადგინა, ხოლო მცირე საწარმოთა მწარმოებლურობა 23,287 ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 7. მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობა[14]



[14] მწარმოებლურობა=დამატებული ღირებულება/დასაქმებულთა რაოდენობაზე

ბიზნეს სექტორში დასაქმების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმსხვილესია მცირე ზომის საწარმოები, სადაც 2019 წელს 339.2 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, რაც მთლიან დასაქმებულთა 44.8%-ს შეადგენს, ჯამში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში დასაქმებულთა წილი 65%-ს უტოლდება.

დიაგრამა 8. მცირე და საშუალო საწარმოთა დასაქმებულთა რაოდენობა



2019 წელს ბიზნეს სექტორში **შრომის ანაზღაურებამ** 1,161.7 ლარი შეადგინა, საშუალო ზომის საწარმოებში შრომის ანაზღაურება 1,416.8 ლარს გაუტოლდა, რაც აღემატება როგორც ბიზნეს სექტორის საშუალო მაჩვენებელს, ასევე მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას. მცირე ზომის საწარმოებში შრომის ანაზღაურებამ 893.5 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 9. მცირე და საშუალო საწარმოთა შრომის თვიური ანაზღაურება



რაც შეეხება 2020 წლის მონაცემებს, პანდემიამ და მისგან გამომდინარე შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიზნესის განვითარებაზე. შედეგად, 2020[15] წელს მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვის, გამოშვების და დასაქმების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 2020 წელს მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა 8%-ით, გამოშვება 9%-თ, ხოლო დასაქმება 22%-ით შემცირდა წინა წლის მცირე და საშუალო საწარმოთა ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. ამასთან, 2020 წლის კვარტალური მონაცემების თანახმად, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აღნიშნულ ინდიკატორებს შორის ზრდა (2.9%), მხოლოდ პროდუქციის გამოშვების კუთხით და მხოლოდ 2020 წლის პირველი კვარტალში დაფიქსირდა.

დიაგრამა 10. მცირე და საშუალო საწარმოთა 2020 წლის, წლიური და კვარტალური სტატისტიკა



[15] 2020 წლის წინასწარი მონაცემები (კვარტლების ჯამი), საქსტატი



PwC-ის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით "Follow-up Survey of Georgian Business in the face of Covid-19 Pandemic" (2020 წლის ოქტომბერი), გამოკითხული ბიზნესის უმრავლესობის აზრით, ერთობლივი მოთხოვნის შემცირება არის პანდემიის ყველაზე სერიოზული უარყოფითი ეფექტი ყველა სექტორისთვის[16]. პანდემიის უარყოფითი გავლენების შედეგად, გამოკითხული კომპანიების 68% აცხადებს, რომ 2020 წლის მაისის შემდგომ მისი შემოსავლები სულ მცირე განახევრდა. სექტორულ ჭრილში, ყველაზე დიდი დარტყმა მიადგა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორს (განახევრებულ შემოსავლებზე საუბრობს კომპანიების 84%), რასაც მოყვება სოფლის მეურნეობა (განახევრებული შემოსავლები კომპანიების 59%-ში), მშენებლობა

[16] http://ics.ge/_InvestorsCouncil/files/COVID-19%20OCTOBER%20SURVEY%20ENG.pdf

(კომპანიების 36%) და ვაჭრობა (კომპანიების 34%). მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ გამოკითხული კომპანიების 75%-მა განაახლა საქმიანობა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

აღნიშნული კვლევა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან კრიზისის მიმართ უფრო მოწყვლადი როგორც წესი მცირე და საშუალო ბიზნესია.

ამასთან, მსოფლიო ბანკის საწარმოთა კვლევის „კოვიდ-19-ის პასუხი“ (საქართველოს 2020 - მე-2 რაუნდი[17]) მიხედვით, საშუალოდ საქართველოში კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის შედეგად, კომპანიების 46% იძულებული იყო გადაევადებინა გადახდები ყველა ტიპის კრედიტორისთვის (მაგ: სახელმწიფო, კომერციული მიმწოდებელი და ა.შ.). ეს მაჩვენებელი გაიზარდა გაზაფხულის „პირველი ტალღის“ შემდეგ (32%). პრობლემების მქონე კომპანიების ეს მაჩვენებელი მიუთითებს პანდემიის შედეგად კერძო სექტორში წარმოქმნილი ლიკვიდობის პრობლემების სიმწვავეზე.

3.3 მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები და პროგრამები

სახელმწიფო ინსტიტუტები

1. აწარმოე საქართველოში

სააგენტო აწარმოე საქართველოში 2014 წელს შეიქმნა და წარმოადგენს მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერ ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტს საქართველოში. სააგენტოს მიზანია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა, მეწარმეობის მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენებით, ასევე ექსპორტის ზრდის მხარდაჭერა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისება. მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტოს გააჩნია 3 საკვანძო მიმართულება: 1) ბიზნესის განვითარება; 2) ექსპორტის მხარდაჭერა და 3) ინვესტიციების მოზიდვა.

ბიზნესის განვითარების მიმართულება მოიცავს საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ რომელიც გულისხმობს შემდეგს: ინდუსტრიულ კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას; სასტუმრო ინდუსტრიისა და ტურისტული სერვისების მიმართულებას, რომელიც მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს განავითარონ სასტუმრო ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები; ტექნიკურ დახმარებას, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარს უნაზღაურდება საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი დადგენილი ლიმიტის საზღვრებში; მიკრო და მცირე

[17] https://www.enterprisesurveys.org/content/dam/enterprisesurveys/documents/covid/country-profile-Georgia_Round-2_English.pdf

გრანტების პროგრამას, რომლის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ბიზნესის წამოწყებისთვის ან/და არსებულის გადაიარაღებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება. ასევე, მნიშვნელოვანია საკრედიტო-საგარანტიო სქემა, რომლის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები, ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. დამატებით, მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო, სააგენტომ, საქართველოში განსაკუთრებით დაზარალებული ინდუსტრიების ხელშეწყობის მიზნით, შეიმუშავა ახალი პროგრამები.

ზემოაღნიშნულის გარდა, ექსპორტის სტიმულირების, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის და ქართული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს ექსპორტის მიმართულება მუდმივად ახდენს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირებას და მათ შემდგომ მხარდაჭერას. სააგენტოს ორგანიზებით და თანადაფინანსებით ქართველი ექსპორტიორები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებსა და სხვა, ექსპორტის მასტიმულირებელ ღონისძიებებში. ამასთან, ბიზნეს განათლების მიზნით, სააგენტო, წამყვან ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად 2015 წლიდან ახორციელებს ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსს, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან მოდულს ექსპორტთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

რაც შეეხება „აწარმოე საქართველოში - ინვესტიციების“ მიმართულებას, მისი მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება პროაქტიურად ახორციელებს პოტენციურ ინვესტორ კომპანიებთან დაკავშირებას მათი საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებით დაინტერესების მიზნით. ასევე, საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. აღნიშნული მიმართულება ასრულებს მედიატორის როლს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, სერვისების „ერთი ფანჯრის პრინციპით“ შეთავაზების კუთხით.

2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო შეიქმნა 2014 წელს და წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად სახელმწიფო უწყებას. სააგენტოს მიზნებს შორისაა ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია, ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციისა და გამოყენების

ხელშეწყობა, ინოვაციური დამწყები კომპანიების შექმნის და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ.

დასახული ამოცანების შესასრულებლად, სააგენტოს გააჩნია როგორც ფინანსური დახმარების, ისე დამწყები ინოვაციური კომპანიებისთვის შესაბამისი სერვისების შეძენის და მიწოდების კომპონენტები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ბიზნეს ასოციაციები

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატა

სავაჭრო-სამრეწველო პალატა დაფუძნებულია საჯარო სამართლის კორპორაციის სახით და სარგებლობს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს სუბიექტების პროფესიული განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მეწარმე სუბიექტებს შორის დავის მოგვარების ხელშეწყობა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნით და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. ამჟამად, სავაჭრო-სამრეწველო პალატას ჰყავს 1 536 წევრი, რომელთა 97% მცირე და საშუალო მეწარმეა. სავაჭრო-სამრეწველო პალატას აქვს რვა რეგიონული ოფისი.

2. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა და კონსალტინგი, მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან აქტიური კომუნიკაციის დამყარება სახელმწიფო სტრუქტურებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასოციაციას დღეისთვის ჰყავს 4500 წევრი.

3. დამსაქმებელთა ასოციაცია

დამსაქმებელთა ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 2000-მდე წევრს, რომელთა 65% მცირე და საშუალო ბიზნესია. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის და ა.შ.

4. სტრატეგიის ხედვა, მიზანი, შემუშავების მეთოდოლოგია და ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

სტრატეგიის ხედვა

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

სტრატეგიის მიზანი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავებაზე აქტიური მუშაობა დაიწყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების გამოცემით „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2021-2025 წწ.) და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის (2021-2022 წწ) შემუშავების მიზნით მმართველი საბჭოს და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ (№1-1/38, 21.09.2020წ.). ბრძანების შესაბამისად შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაკომპლექტებისთანავე[18] ჩაუტარდა საჯარო პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სატრენინგო კურსი, რომელიც ფოკუსირებული იყო იმ ახალ რეგულაციებზე, რითაც 2020 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრა საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი პროცედურები, მეთოდოლოგია და სტანდარტები[19]. სტრატეგიის შემუშავების (პოლიტიკის დაგეგმვის) სრული ციკლი წარიმართა ზემოხსენებული რეგულაციების და შესაბამისი სახელმძღვანელოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

განისაზღვრა სტრატეგიის მომზადების დროში გაწერილი სამუშაო გეგმა და პროცესის მაკოორდინირებელი ორგანო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის სახით. სტრატეგიაზე მუშაობა დაიმყარა ისეთ მიდგომას, რომლის თანახმადაც, სტრატეგია უნდა იყოს

[18] სამუშაო ჯგუფის წევრებად განისაზღვრა სახელმწიფო უწყებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები

[19] წარმოადგენს საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, რომელიც ევროკავშირის საჯარო მმართველობის მოდელს ეყრდნობა.

დოკუმენტი, რომელიც სამუშაო ჯგუფში ჩართული ყველა მხარის თანამონაწილეობით და პასუხისმგებლობის განაწილებით შეიძლება შეიქმნას.

სიტუაციის (პრობლემების) ანალიზზე მუშაობა ინდივიდუალურად წარიმართა სამუშაო ჯგუფის წევრი თითოეული უწყების დარგობრივი მიმართულებების მიხედვით. პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სამუშაო ჯგუფის წევრებს მიეწოდათ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის შეფასების კუთხით არსებული საერთაშორისო შეფასებები და ანგარიშები. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, სიტუაციის (პრობლემების) ანალიზის და საკუთარი ხედვის წარმოდგენა, ასევე, ეთხოვათ სამუშაო ჯგუფის წევრ არასამთავრობო და ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებს. ხსენებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მასალა გამოყენებულ იქნა სიტუაციის ანალიზზე მუშაობისას. სტრატეგიის შემუშავებისას ეროვნულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოსთან ერთად გათვალისწინებული იყო მომიჯნავე სფეროების მოქმედი სტრატეგიები, კონცეფციები და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები. ამასთანავე, საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უმნიშვნელოვანესი საფუძველი შექმნა OECD-ის რეკომენდაციებმა და საგზაო რუკამ, რომელიც "SME Policy Index 2020" ანგარიშში იყო მოცემული.

სიტუაციის ანალიზის ეტაპზე გამოვლენილი მიგნებების განხილვის და სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს შედგენის მიზნით, აქტიური მუშაობა განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. სიტუაციის ანალიზისას გამოკვეთილი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადდა ლოგიკური ჩარჩოს ფორმები და გადაეგზავნა სამუშაო ჯგუფის წევრ სახელმწიფო უწყებებს, რომელთა მიერაც განხორციელდა ლოგიკური ჩარჩოს შედგენა.

ამასთან, OECD-იმ ევროპის „მცირე ბიზნესის აქტის" ძირითადი პრინციპების საფუძველზე განხორციელებული კვლევისა და მონიტორინგის საფუძველზე განსაზღვრა სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის ინიცირებაც მოახდინა საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში ჩატარებულ შეხვედრაზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების მიზნით შექმნილი, როგორც მმართველი საბჭოს, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრებმა (23.09.2020წ.).

სამუშაო ჯგუფის მიერ გამოვლენილი სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები სრულ თანხვედრაში იყო OECD-ის მიერ ინიცირებულ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებთან.

სტრატეგიის ხედვის, მიზნების, ამოცანების და შესაბამისი ინდიკატორების განხილვის და შეჯერების მიზნით, უწყებებთან გაიმართა არაერთი დისტანციური შეხვედრა სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

ლოგიკურ ჩარჩოზე მუშაობის დასრულების შემდეგ (სტრატეგიის დანართი N1) სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებების მიერ ჩამოყალიბდა პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილის ტექსტი და ასევე, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების წესით განსაზღვრული სტრატეგიის სხვა ნაწილები.

სტრატეგიის პროექტი წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, OECD-ის და GIZ-ს. საერთაშორისო პარტნიორებთან გაიმართა მათგან შენიშვნების/რეკომენდაციების მიღებისა და მათი განხილვის საფუძველზე სტრატეგიის გადამუშავებული ვერსიის განმეორებით გადაგზავნის რამდენიმე რაუნდი. აღნიშნულის შემდეგ მიღებულ იქნა მათი მხრიდან სტრატეგიის და შესაბამისი ლოგიკური ჩარჩოს დადებითად შეფასების წერილი.

შემდეგ, სტრატეგიის პროექტი წარედგინა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე (7.05.2021 წ.), რომლის შემდეგ პროექტი გადაეგზავნათ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის. სტრატეგიის პროექტი ასევე გაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას. მათგან მიღებული რეკომენდაციები დეტალურად იქნა განხილული პროფილური უწყებების მიერ და მათი გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ფორმით ასახულია სტრატეგიასა და ლოგიკურ ჩარჩოში. საჯარო კონსულტაციების ფარგლებში მიღებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშში (სტრატეგიის დანართი №2).

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

სამიზნე მაჩვენებლები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის შედეგად 2025 წლისთვის მისაღწევი **სამიზნე მაჩვენებლებია** (საბაზისო წელი - 2019წ.):

1. მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა 20%-ით;
2. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 10%-ით;
3. მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა 20%-ით.

5. ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

პრიორიტეტი 1: საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის

სიტუაციის ანალიზი

საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს და ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში, უშუალოდ მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი მიმართულებები, რაც შემდგომ დახვეწას საჭიროებს, რათა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შეიქმნას თავისუფალი და კონკურენტული სამოქმედო სივრცე მათი შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის.

საკანონმდებლო დახვეწის კუთხით, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაზე, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აღნიშნული წარმოადგენს მიმდინარე დინამიურ პროცესს და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, რომლებსაც გავლენა აქვთ მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, მათ შორისაა სამეწარმეო კანონმდებლობა, საბაჟო კანონმდებლობა და ა.შ. აღნიშნული კანონმდებლობის განვითარების და დანერგვის პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“, რათა ახალი კანონმდებლობით შემოღებული

რეგულაციები არაპროპორციულად, მძიმე ტვირთად არ დააწვეს მცირე და საშუალო საწარმოებს და არ შეაფერხოს მათი განვითარება.

ზემოაღნიშნულთან მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში RIA-ს სისტემა განვითარდა, მისი მოქმედება კვლავ შეზღუდულია, ის არ მოიცავს ე.წ. „RIA SME Test“-ს და ფარავს განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტებში მხოლოდ მთავრობის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ 2014 წლიდან შექმნილია მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი. გარდა ამისა, ქვეყანაში წლების განმავლობაში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი რამდენიმე ასოციაცია. თუმცა, არსებული გამოწვევების პირობებში, განსაკუთრებით კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია არსებული მხარდაჭერის ინსტრუმენტები არ იყოს საკმარისი მეწარმეთა წინაშე არსებული პრობლემების დაძლევისთვის და საჭირო იყოს მეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, არსებული ინსტრუმენტების შენარჩუნება/გაძლიერებისა და ახალი ინსტრუმენტების შემუშავების გზით.

გარდა ამისა, ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სრულყოფილი სტატისტიკური აღრიცხვა. მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოების განმარტების ცვლილებასა და მის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე რიგი მიმართულებებით სტატისტიკის წარმოებისას მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გამოყოფას, ჯერ კიდევ არის მთელი რიგი მიმართულებები, სადაც სტატისტიკის წარმოება საწარმოთა ზომის მიხედვით არ ხდება. აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დინამიკის შეფასებას და განსაკუთრებით აქტუალურია კოვიდ პანდემიით მიყენებული ზიანის შეფასებისას.

საქართველოში მეტად კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა კონკურენციის მარეგულირებელი ჩარჩო და გაიზარდა შესაბამისი უწყების მანდატი. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს კონკურენციის ჩარჩო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მანდატი და შესაბამისი რეგულირებები ქვეყანაში მეტად კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად. კერძოდ, 2020 წლის სექტემბერში არსებითად შეიცვალა საქართველოს კანონი "კონკურენციის შესახებ" და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები (ძალაში შევიდა 2020 წლის 4 ნოემბერს). ცვლილებების შედეგად, ეროვნული კონკურენციის კანონმდებლობა მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროკავშირში გამოყენებულ სტანდარტებს. ცვლილებებიდან გამომდინარე

კანონმდებლობა ითვალისწინებს დებულებებს ადგილზე მოულოდნელი შემოწმების, უწყების მიერ რეკომენდაციების გაცემის თაობაზე და ა.შ., ამიტომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორ მოხდება ამ ახალი წესებისა და სააგენტოს უფლებამოსილების პრაქტიკაში გამოყენება. ამრიგად, მნიშვნელოვანია გაძლიერებული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება. ამ თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეების დაბალი ცნობიერება კონკურენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ.

ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს არსებობის ფონზე, კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კომერციული დავების ეფექტიანად მოგვარების საკითხი. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა, რაც შესაბამისად აისახა სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებაში (მაგ: ბიზნესის კეთების ანგარიშის მიხედვით, საქართველო კონტრაქტების აღსრულების კომპონენტში მსოფლიოში მე-12 ადგილზეა), კვლავ არსებობს მთელი რიგი პრობლემები (მათ შორის დროში გაწელილი სასამართლო პროცესები, სასამართლოს კვალიფიკაციის პრობლემა კომერციულ დავებთან მიმართებით და ა.შ.), რაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ამ ვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება დავების ალტერნატიული მოგვარების მექანიზმების (მედიაცია, არბიტრაჟი) ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნული მექანიზმები ხელმისაწვდომია საქართველოში, თუმცა, მათი გამოყენების მაჩვენებელი ჯერ ისევ საკმაოდ დაბალია და ასევე დაბალია მეწარმეთა ცნობიერება ამ მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმოქმნილი დავების ეფექტიანი და სწრაფი მოგვარება. ამ მხრივ, მედიაციის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს ბიზნესის ერთგვარი „წარმომადგენლის“ როლს კერძო კომპანიებსა და შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოსთან დავას ან კანონმდებლობაში/პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხს.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, იქნება ეს საჯუთრებასთან დაკავშირებული პროცედურები, თუ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება და ა.შ. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მეტი სახელმწიფო სერვისის ონლაინ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. ვითარდება ერთიანი პორტალი my.gov.ge. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება სერვისების ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში. ამასთან, თუ საჯარო რეესტრისა და შემოსავლების სამსახურის სერვისები მეტ-ნაკლებად ცნობილი და ხელმისაწვდომია მეწარმეებისთვის, უფრო დაბალია სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების ცნობადობა და ხელმისაწვდომობა, რაც შესაბამის ქმედებას საჭიროებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ინიციატივაა პროგრამა „სახელმწიფო შენი პარტნიორია“, რომელიც გულისხმობს როგორც სახელმწიფო პროგრამების ერთიანი პორტალის შექმნას, ისე ე.წ. „ფრონტ-ოფისების“ განვითარებას რეგიონებში იუსტიციის სახლების და საზოგადოებრივი

ცენტრების ბაზაზე. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესი გაგრძელდეს და გახდეს უფრო ყოვლისმომცველი.

გაკოტრება/რეაბილიტაციის სისტემა წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სამეწარმეო გარემოს სუსტ წერტილს. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ყველაზე სუსტი პოზიციები სწორედ ამ კომპონენტში აქვს და ქვეყანა ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 64-ე ადგილზეა. ამ მიმართულებით პრობლემას წარმოადგენს როგორც დრო და გაწეული ხარჯების ეფექტიანი ანაზღაურება, ისე სიცოცხლისუნარიანი საწარმოების რეაბილიტაციის სისტემის არარსებობა, რაც ფაქტორივად შეუძლებელს ხდის ე.წ. „მეორე შანსის“ გამოყენებას. ამ ვითარებაში, მნიშვნელოვანი წინსვლაა რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ ახალი კანონი, რომელიც 2020 წლის სექტემბერში იქნა მიღებული. ახალი კანონის ერთ-ერთი მიზანია სიცოცხლისუნარიანი კომპანიებისთვის რეაბილიტაციისთვის მეტი სტიმულების შექმნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება ახალი კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმის არსებობა, რაც ითვალისწინებს ბიზნესის ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ ეტაპზე, საჯარო-კერძო დიალოგი ტარდება როგორც ბიზნეს-ომბუდსმენის, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ (როგორც საკანონმდებლო ცვლილებზე, ასევე DCFTA-ის მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით). კერძოდ, შექმნილია კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო, DCFTA საკონსულტაციო ჯგუფი. თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული პლატფორმების შემდგომი გაძლიერება/განვითარება, რადგანაც მათი ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია როგორც რეგულაციებთან დაკავშირებით მათი მოსაზრების გაზიარების და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, ასევე, პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისითაც.

მიზანი

მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და განვითარებისთვის შესაძლებლობების სივრცის შექმნა/გაფართოება.

ამოცანები

1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში, მოხდება საქართველოს კანონმდებლობის დინამიური დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებები. ამ მიზნით, დაინერგება RIA-ს მცირე და საშუალო მეწარმეობის ტესტი (RIA SME Test) და გაფართოვდება RIA-ს მოქმედების მასშტაბები.

1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა

გაგრძელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და განვითარება, რათა მათ უკეთ უპასუხონ მცირე და საშუალო საწარმოების მზარდ გამოწვევებს. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომელთა შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერებას და თავად ინსტიტუტების დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, განხორციელდება გავლენის შეფასება შერჩეული სახელმწიფო დახმარების პროგრამებისთვის.

1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ცვლილებების გაგრძელება, მათ შორის, მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის წარმოების, სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის გაუმჯობესების, გენდერულ ჭრილში ბიზნეს სტატისტიკის საწარმოთა ზომის მიხედვით წარმოების, ICT-ის სფეროში საწარმოთა ზომის მიხედვით სტატისტიკის წარმოების, ექსპორტზე მოვაჭრე, მათ შორის დამწყები ექსპორტიორების რაოდენობის შესახებ საწარმოთა ზომების მიხედვით სტატისტიკის წარმოების მხრივ და ა.შ.

1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

კონკურენციის კანონმდებლობის დახვეწის და განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი იქნება მისი ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფა, რაც ქვეყანაში შექმნის კონკურენტულ სამოქმედო გარემოს. თავის მხრივ, კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების ინდიკატორი არის საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმის მოკვლევები და უწყების მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას. ასევე,

აუცილებელია მეწარმეების ცნობიერების ამაღლება, რათა მათ ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია შეცვლილი საკანონმდებლო ჩარჩოსა და პროცედურული ნორმების შესახებ.

1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა

გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ბიზნეს დავების ალტერნატიული მექანიზმების განვითარებაზე და მათ პოპულარიზაციაზე მცირე და საშუალო მეწარმეთა შორის. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, ერთი მხრივ, სისტემის პოპულარიზაციას და ცნობიერების ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის როლის ზრდას სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმოქმნილი დავების მოგვარებაში. ასევე ყურადღება დაეთმობა საგადასახადო დავების სისტემის რეფორმას.

1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა

გაგრძელდება სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, მათ შორის, ერთიანი პორტალის my.gov.ge-ს მეშვეობით. ასევე, გაძლიერდება პროგრამა „სახელმწიფო შენი პარტნიორია“, რომელიც ზრდის სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით რეგიონებში.

1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება

სახელმწიფო ხელს შეუწყობს ახალი კანონმდებლობის შესაბამისი სისტემის განვითარებას, მათ შორის, კერძო აღმსრულებლების სისტემის და რეაბილიტაციის სისტემის განვითარებას, ასევე კომპანიების ცნობიერების ამაღლებას ახალი სისტემის შესაძლებლობებზე.

1.8 მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება

მარეგულირებელი გარემოს ცვალებადობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნების გამო, ჩატარდება დამატებითი ღონისძიებები მცირე და საშუალო საწარმოების ინფორმირებულობის შესახებ როგორც უკვე მიღებული, ასევე მომავალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, განხორციელდება საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმების შემდგომი გაძლიერება/განვითარება.

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

სიტუაციის ანალიზი

ადამიანური კაპიტალის განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რომელიც გაცხადებულია 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამით „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. კვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის, ვინაიდან აღნიშნული უზოგავს მეწარმეებს პერსონალის მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებულ დროისა და ფინანსური რესურსების დანახარჯებს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის 2019 წლის საწარმოთა კვლევის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ არაკვალიფიციური სამუშაო ძალა დასახელებულია ბიზნესის კეთების კუთხით ტოპ-3 ყველაზე პრობლემურ საკითხს შორის.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემის როგორც შედარებით სწრაფი და მოკლევადიანი გადაწყვეტა, როგორიცაა შესაბამისი ტრენინგების ხელმისაწვდომობა, ისე უფრო კომპლექსური გადაწყვეტა, პროფესიული განათლების განვითარების გზით. დუალურ სწავლებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების განვითარება სახელმწიფოს გაცხადებული პრიორიტეტია. პროფესიულ განათლებას შეუძლია მოამზადოს კვალიფიციური სამუშაო ძალა, მისცეს მას პროფესიული კვალიფიკაცია ან განუვითაროს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული უნარები და კომპეტენციები მოკლევადიანი მომზადების ფარგლებში, გარდა ამისა, უზრუნველყოს იმ პირების გადამზადება და შრომის ბაზარზე დაბრუნება, რომელთა უნარები მოძველებულია და აღარ შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ბოლო წლებში არაერთი აქტივობა განხორციელდა პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდის მიზნით. აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა და ამ პროცესში დამსაქმებლების ჩართვა; დაიხვეწა ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმები; განვითარდა ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; გაძლიერდა პრაქტიკული სწავლება, მათ შორის, გაჩნდა რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შესაძლებლობები; მეწარმეობის სწავლება გახდა საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტი. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმა პოზიტიურად აისახა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებელზე. 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 20 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი 2014 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით (2014 წელი – 42%; 2019 წელი - 62%).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების სისტემაში კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება პროფესიული განათლების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, პროფესიული განათლების პოპულარობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას. აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ, საგანმანათლებლო სისტემაში, განათლების ყველა საფეხურზე და მათ შორის პროფესიული განათლების სფეროშიც, დღის წესრიგში დააყენა დისტანციურად საგანმანათლებლო სერვისებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხი. პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სირთულეები შეიქმნა პრაქტიკული სწავლების ნაწილში, განსაკუთრებით იმ ტიპის პროგრამების შემთხვევებში, რომელთა განხორციელებაში ჩართული იყო კერძო სექტორი. აღნიშნულის საპასუხოდ, დაიწყო როგორც საკვალიფიკაციო პროფესიული პროგრამების, ასევე, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების ანალიზი და იმ კომპონენტების იდენტიფიცირება, რომელთა სწავლებაც შესაძლებელია დისტანციურ ფორმატში. აღსანიშნავია, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების როლი COVID-19 პანდემიით შექმნილი ეკონომიკური სირთულეების დაძლევის თვალსაზრისით, კერძოდ, ბიზნეს სექტორისთვის შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის დროულად მომზადების კუთხით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობა და სამეწარმეო უნარების გაუმჯობესება. აღნიშნული კვლავ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების, მარკეტინგისა და სხვა იმ უნარების ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის - დაბალია. მათ შორის, კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტებაზე უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ წარმოდგენილი დაბალი ხარისხის ბიზნეს გეგმები.

საქართველოში წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის მომზადება-გადამზადება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის საჭიროებების რეგულარული კვლევა, რაც კარგად გამოაჩენს შრომის ბაზრის ცვალებად კონიუნქტურას და მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია, რომლის მიხედვით განსაზღვრულია 2 სექტორული პრიორიტეტი - დასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. პრიორიტეტული მიმართულებების გარდა, სტრატეგია განსაზღვრავს ისეთ მიზნებს, როგორიცაა:

შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერება, მათ შორის, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის გაძლიერების გზით და ა.შ. აღნიშნული პრიორიტეტები და მიზნები მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისთვის.

ასევე, შედარებით ახალ გამოწვევას წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების საკითხები, განსაკუთრებით შრომის შეცვლილი კანონმდებლობის და შედეგად, ახალი სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ შექმნის პირობებში. ამ მხრივ, მცირე და საშუალო მეწარმეების ცოდნა და კვალიფიკაცია შემდგომ განვითარებას საჭიროებს.

გარდა ამისა, მცირე და საშუალო კომპანიების ინტერნაციონალიზაციისთვის მნიშვნელოვანია კომპანიებში პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პრინციპების დანერგვა, რაც გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას, თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობების განვითარებას და სხვა, რაც სტიმულს აძლევს კერძო სექტორს, მეტი კონტრიბუცია შეიტანოს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაში.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 231-ე და 352-ე მუხლებში ხაზგასმით აღნიშნულია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის წახალისების აუცილებლობა, OECD-ისა და სხვა სახელმძღვანელო სტანდარტების შესაბამისად.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში RBC-თან ზოგადად და მის სარგებელთან დაკავშირებით ცოდნა ჯერ ისევ შეზღუდულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ცოდნის ამაღლება ამ მიმართულებით.

მიზანი

მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.

ამოცანები

ამოცანა 2.1 შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, მათ შორის სამუშაო ძალის მოთხოვნის, საჭირო უნარებისა და გამოწვევების მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზი მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად. ამ მიზნით, პერიოდულად ჩატარდება კვლევები და განხორციელდება შრომის ბაზრის ანალიზი.

2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

კანონმდებლობისა და პრაქტიკის გამკაცრებულ მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით, მოხდება მეწარმეებისთვის შესაბამისი ტრენინგების შეთავაზება შრომის პირობების ინსპექტირების სამსახურის მანდატისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ. მნიშვნელოვანი იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულ დამატებით მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის მეწარმეთა კვალიფიკაციის შემდგომი გაძლიერება.

2.3 სამეწარმეო უნარების გაძლიერება

გაგრძელდება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მეწარმეებისთვის სხვადასხვა ტიპის ტრენინგების შეთავაზება. ასევე, შესაძლებელია მეწარმეების ტექნიკური მხარდაჭერა, მათ მიერ პერსონალის გადამზადებისთვის. კოვიდ-19 პანდემიის მიერ შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ, ასევე სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან ტრენინგების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოხდება მეტი ტრენინგის ონლაინ შეთავაზება.

2.4 მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

სახელმწიფო გააგრძელებს მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას, მათ შორის, პროფესიული განათლების ქსელის გაფართოების, პოპულარიზაციის, მრავალფეროვანი პროგრამებისა და კურსების შეთავაზების, მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის და ცნობიერების ამაღლების, პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სამეწარმეო იდეების მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვის გზით. ასევე პროფესიულ სასწავლებლებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობის გზით, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გზით.

2.5 შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (Worknet) და შესაბამისი სერვისების განვითარება

შრომის ბაზრის ტენდენციებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საჭიროა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება, რაც ითვალისწინებს ახალი ფუნქციონალების დამატებასა და საზოგადოების ფართო აუდიტორიისათვის ციფრობრივი ინფორმაციის აღქმადობას. შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის მიუხედავად, კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საზოგადოების ფართო აუდიტორიისათვის კვლევის შედეგების სიღრმისეული გაგება და მათი პრაქტიკაში გამოყენება. ციფრობრივი ინფორმაციის ეფექტური ვიზუალიზაცია კი დაეხმარება მათ არსებული სირთულეების გადაჭრაში. შესაბამისად, შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის შემცირების ხელშეწყობისთვის, მოხდება როგორც შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის

განვითარება, მათ შორის, შესაბამისი ვებ-გვერდის დახვეწა, ისე შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება, პროფესიული ორიენტაციის, კარიერული დაგეგმვისა და სხვა შესაბამისი სერვისების მიწოდება.

2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია, RBC-სთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება როგორც მცირე და საშუალო მეწარმეების, ისე ბიზნეს ასოციაციების და სახელმწიფო სტრუქტურების. აღნიშნული განხორციელდება შესაბამისი ტრენინგების გზით, ასევე, მოხდება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სახელმძღვანელოს შექმნა ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მიმართულებით) და კომპანიების მხარდაჭერა აღნიშნული სტანდარტების დანერგვაში.

2.7 ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

“Log-in Georgia” პროექტის ფარგლებში "ფართოზოლოვანი განვითარების ეროვნული სტრატეგიის (NBDS) და მისი განხორციელების 2020-2025 წლების სამოქმედო გეგმის" განსახორციელებლად ხელი შეეწყობა ფართოზოლოვანი ქსელის ციფრულ გამოყენებას და მიმართული იქნება ფიზიკური პირების ციფრულ ეკონომიკაში მონაწილეობის ბარიერების აღმოსაფხვრელად. პროექტი ხელს შეუწყობს ციფრული შესაძლებლობის მქონე სერვისების გამოყენებას ქვეყნის მასშტაბით ტრენინგისა და უნარების განვითარების პროგრამების მეშვეობით. იგი ასევე ხელს შეუწყობს ციფრული ფინანსური მომსახურებისა და ელექტრონული კომერციის განვითარებას, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის ონლაინ სერვისების პოპულარიზაციით. პროექტი ასევე დაეხმარება დისტანციური ელექტრონული სწავლისა და ტელემედიცინის განვითარებას. ამავდროულად, ჩატარდება სპეციალური ღონისძიებები ქალთა, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ მიზნობრივ დასახლებებში ინტერნეტისა და ციფრული სერვისების გამოყენების გაძლიერების მიზნით.

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

სიტუაციის ანალიზი

ფინანსებზე წვდომა წლების განმავლობაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს.

საქართველოს საფინანსო სისტემაში დომინირებს კომერციული საბანკო სისტემა (მთლიანი საფინანსო სისტემის 90%-ზე მეტი). საფინანსო ბაზრის სხვა მიმართულებები ნაკლებად არის განვითარებული. ამასთან, კარგად განვითარებული საფინანსო ბაზრები არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საწარმოების განვითარებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც ტრადიციულ საბანკო კაპიტალზე წვდომის თვალსაზრისით პრობლემებს განიცდიან გირაოს მაღალი მოთხოვნებისა და სხვა ფაქტორების გამო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო პორტფელში მცირე და საშუალო საწარმოების წილის ზრდის მიუხედავად, ფინანსებზე წვდომა კვლავ სახელდება ბიზნესის განვითარების დამაბრკოლებელ ძირითად პრობლემებს შორის. კერძოდ, მსოფლიო ბანკის საწარმოთა კვლევის 2019 წლის შედეგების მიხედვით, ფინანსებზე წვდომა სახელდება რიგით მეორე უმსხვილეს დაბრკოლებად, პოლიტიკური არასტაბილურობის შემდეგ.

დიაგრამა 11. SME დაკრედიტება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მსოფლიოს ბანკის 2019 წლის საწარმოთა კვლევის მიხედვით, საინვესტიციო ხარჯების დაფარვისთვის საწარმოები უმეტესად იყენებენ შიდა რესურსებს (საინვესტიციო ხარჯების 70%), ხოლო მეორე ადგილზეა საბანკო კრედიტი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2013 წლის შემდეგ, როდესაც საკუთარი სახსრების გამოყენების მაჩვენებელი 73%-75%-ის ფარგლებში

მერყეობდა. იგივე კვლევის მიხედვით, მცირე საწარმოთა 38%-ს აქვს საბანკო კრედიტი, ხოლო საშუალო საწარმოების 48%-ს. აღსანიშნავია, რომ იგივე მაჩვენებელი მსხვილ საწარმოებში 58%-ს შეადგენს. ამასთან, კვლავ მაღალია გირაოს მოთხოვნები. 2019 წლის კვლევის მიხედვით, ეს მაჩვენებელი მცირე საწარმოებისთვის საშუალოდ სესხის ოდენობის 191%-ია, ხოლო საშუალო საწარმოებისთვის - 195% (საშუალოდ, ყველა ტიპის საწარმოსთვის გირაოს მოთხოვნები 194%-ს შეადგენს).

მცირე საწარმოებთან მიმართებით კვლავ მაღალია საბანკო კრედიტზე უარის თქმის მაჩვენებელი. კერძოდ, თუ დიდ საწარმოებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2.6%-ია, მცირე საწარმოებში იგი 20.6%-ს აღწევს. ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) საბანკო დაკრედიტების კვლევის (2018 წელი) მიხედვით, სესხის დამტკიცებაზე უარი განპირობებულია 4 ძირითადი ფაქტორით: 1) არასაკმარისი გირაო; 2) არასათანადო საკრედიტო ისტორია; 3) რისკების პროგნოზირების სირთულე და 4) დაბალი ხარისხის ბიზნეს გეგმა. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კრედიტზე უარის თქმის ყველაზე ხშირი მიზეზი მაღალი რისკია. გარდა ამისა, გირავნობის პრობლემები დაკავშირებულია მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ რეგისტრირებული გირავნობის საგნის ნაკლებობასთან. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწასთან მიმართებით, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების გაზრდისთვის. საქართველოში მიწის დიდ ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული, რაც მიწის გირავნობის საგნად ქცევას აფერხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, მცირე საწარმოების 22.4%, ხოლო საშუალო საწარმოების 21% კვლავ ასახელებს ფინანსებზე წვდომას, როგორც მთავარ დაბრკოლებას[20].

მნიშვნელოვანია, რომ ალტერნატიულ დაფინანსებაზე წვდომას ასევე აფერხებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური განათლებისა და უნარების დაბალი დონე.

ზემოაღნიშნულის გარდა, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებისთვის, ინვესტიციების მოზიდვისა და ინტერნაციონალიზაციისთვის მნიშვნელოვანია მოწესრიგებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. აღნიშნული წლების განმავლობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. სახელმწიფოს მიერ ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სისტემის მოწესრიგების ვალდებულება საქართველოს ასოცირების შეთანხმებით ჰქონდა ნაკისრი. საქართველომ ამ ვალდებულების შესრულება დაიწყო 2016 წლიდან, როდესაც დამტკიცდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი და ფინანსთა სამინისტროსთან დაფუძნდა საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

[20] მსოფლიო ბანკი, „საწარმოთა კვლევა“, 2019

სამსახურს, კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებთან ერთად ევალება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება, ასევე საწარმოების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების რისკზე დაფუძნებული მიდგომით შემოწმება და შემდგომ გასაჯაროება. მცირე და საშუალო საწარმოთათვის (კანონის მიხედვით მესამე და მეორე კატეგორიის სუბიექტები) განსაზღვრულია, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით (მსს ფასს სტანდარტი). საშუალო ზომის საწარმოებს (მეორე კატეგორიის საწარმოებს) დამატებით მოეთხოვებათ აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების წარდგენა.

შესაბამისად, 2016 წლიდან საქართველოში ხორციელდება ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმა. მეორე კატეგორიის საწარმოებმა (ზომით საშუალო) ანგარიშგების წარდგენა 2018 წლიდან, ხოლო მესამე კატეგორიის საწარმოებმა (ზომით მცირე) 2019 წლიდან დაიწყეს. 2018 და 2019 წლების[21] ანგარიშგებების წარდგენის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და საშუალოდ 96%-ი შეადგინა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება კვლავ გამოწვევად რჩება. ანგარიშგების სანდოობის გაზრდას ემსახურება მისი დამოუკიდებელი აუდიტი (სდპ-ის და პირველი კატეგორიის (მსხვილი ზომის) საწარმოების გარდა, ის ასევე სავალდებულოა მეორე კატეგორიის საწარმოებისთვის). თავის მხრივ, აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

რაც შეეხება ვენჩურულ/სარისკო ეკოსისტემას, მიუხედავად ვენჩურული/სარისკო ფონდების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების პროცესში არსებული მიღწევებისა, კვლავაც არსებობს ვენჩურული ინვესტიციების ტიპების შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების საჭიროება. ამასთან, აუცილებელია ვენჩურული კაპიტალის აქტორების გაზრდილი მონაწილეობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესში, აღნიშნულ სფეროებში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშესაწყობად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გამოწვევა შექმნა ბიზნესის ფინანსური მდგომარეობისთვის. ამ შემთხვევაშიც, განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ მოექცა მცირე და საშუალო საწარმოები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პანდემიამ და გამომდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა ბიზნესში ლიკვიდობის სერიოზული პრობლემა შექმნა. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორის დახმარება ორიენტირებული იყო ლიკვიდობის პრობლემის შემსუბუქებაზე, როგორც არსებული საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერის ან გადავადების, ისე ლიკვიდობის პირდაპირი მიწოდების გზით. ამ მიზნით,

[21] ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა.

განხორციელდა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების მოდიფიცირება, შეიცვალა თანადაფინანსების ვადები და ზღვრები, გაფართოვდა დასაფინანსებელი სფეროების ჩამონათვალი. ასევე არსებულ ინსტრუმენტებს დაემატა ახალი ინსტრუმენტები. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკრედიტო-საგარანტიო სქემა, რომლისთვისაც 330 მლნ. ლარი გამოიყო. ჯამში, პანდემიის დაწყებიდან დღემდე სახელმწიფო ანტიკრიზისული გეგმის რამდენიმე ეტაპი განხორციელდა, რომლის ფარგლებში ბიზნესის ჯამურმა მხარდაჭერამ 2,273.0 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან, 1.04 მლრდ. ლარი მოხმარდა დღგ-ს უკან დაბრუნების პროგრამას, 600 მლნ. ლარი - ფასიანი ქაღალდების გამოშვებას კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის გასაზრდელად, ხოლო 633 მლნ. ლარი - საგადასახადო შეღავათებს და სხვადასხვა სექტორის მიზნობრივ მხარდაჭერას.

მიზანი

მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ზრდა.

ამოცანები

3.1 სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება

ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვანია, არსებული სახელმწიფო პროგრამების პერიოდული განახლება და მათი მუდმივი განვითარება. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები პირდაპირ უნდა პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რომლებიც ბაზარზე არსებობს და ზღუდავს მცირე და საშუალო საწარმოების წვდომას ფინანსურ რესურსებზე, მათ ინტერნაციონალიზაციას, განვითარებას და ასე შემდეგ, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები ამ მიზნებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განვითარდნენ. გამოწვევები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ეს არის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსებსა და უზრუნველყოფის ხარჯების შემცირება, ასევე ინოვაციური სტარტაპებისთვის დაფინანსების წყაროების გაფართოება.

3.2 დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

მნიშვნელოვანია ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაჩენა, მათ შორის უფრო რისკიანის, ვინაიდან ბანკების მხრიდან რისკიანი პროექტების დაფინანსების მზაობა დაბალია. ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ლიზინგი და ფაქტორინგი, ან არ არის სათანადოდ განვითარებული ან მეწარმეების მხრიდან არ მიიჩნევა საბანკო კრედიტის კარგ ალტერნატივად ან გარკვეულ პირობებში, უპირატესადაც კი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, დაფინანსების ალტერნატიული ინსტრუმენტების განვითარება, მათ შორის, საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწის

გზით, ხოლო მეორეს მხრივ, მეწარმეების ცნობიერების ამაღლება დაფინანსების ალტერნატიული ინსტრუმენტების დადებითი მხარეების შესახებ.

3.3 ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება

ფინანსებზე არასათანადო წვდომის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად მცირე და საშუალო მეწარმეების არასაკმარისი ფინანსური ცოდნა და გამოცდილება სახელდება. მაღალ რისკთან და გირაოს პრობლემასთან ერთად, მცირე და საშუალო მეწარმეებს აქვთ ბიზნეს გეგმის განვითარების, ასევე ფინანსური პროცესების არასაკმარისი ცოდნის პრობლემა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მეწარმეების ფინანსური განათლების გაძლიერებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელება.

3.4 გირავნობის საგნის გაფართოება

წლების განმავლობაში საქართველოში პრობლემას წარმოადგენს მიწის, როგორც გირავნობის საგნის გამოყენება, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. აღნიშნულის მიზეზი ის არის, რომ მეწარმეები მიწის ნაკვეთებს ფორმალურად არ ფლობენ და საკუთრება რეგისტრირებული არ აქვთ. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ეფექტიანად წარმართვა.

3.5 მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა

მცირე და საშუალო საწარმოების ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების გამართული სისტემის ფუნქციონირება, ასევე ანგარიშგების სანდოობის გაზრდისთვის განხორციელებული აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მეშვეობით. განხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეთა ტრენინგები და მათი ცნობიერების ამაღლება.

3.6 "Venture Capital (VC)"[22] და „business angels"[23] ეკოსისტემის შემდგომი განვითარება

ეროვნულ დონეზე სარისკო ინვესტორთა ქსელის განვითარება გრძელვადიანი ამოცანაა, რომელიც მოიცავს ქვეყნის მატერიალურად ძლიერი მოქალაქეების წახალისებას (მათ შორის, ეროვნული რეგულაციების ნდობის გაზრდის ჩათვლით) ქვეყნის შიგნით სარისკო ინვესტიციების განხორციელებისთვის და ასევე, სათანადო განათლებისა და საერთაშორისო გამოცდილების სარისკო ფონდების მენეჯერთა მომზადებას. საშუალოვადიან ამოცანად კი უცხოეთიდან საქართველოში ვენჩურული ინვესტიციების მოზიდვა განიხილება. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ქართველ

[22] Venture Capital (VC) - ახალ საწარმოში ან საწარმოს გაფართოების მიზნით მაღალი რისკის შემცველ ბიზნეს პროექტში ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივ აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება.

[23] Business Angel - ფიზიკური პირი კარგი ფინანსური შესაძლებლობებით, რომელიც აბანდებს პირად კაპიტალს, დამწყებ კომპანიებში., სარისკო ბიზნესის განვითარებაში, კაპიტალის წილის სანაცვლოდ.

სტარტაპებს მიიღონ უფრო მეტი დაფინანსება ადრეულ ეტაპზე მათი განვითარებისთვის და დარჩნენ ქვეყნის რეზიდენტებად. უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად მნიშვნელოვანია მათთვის მკაფიო და გასაგები წესების შექმნა, რომლებიც უნდა იყოს იგივე ან გაუმჯობესებული, ვიდრე მათ საკუთარ ან იმ ქვეყნებში სადაც მოგების გადასახადის მაჩვენებელი და ინოვაციების მიწოდება თანაბარია საქართველოსთან მიმართებით. სამოდელო რეგულაციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკული მაგალითები, აუცილებელია რომ ტერმინები და განმარტებები გასაგები იყოს იმ ქვეყნებისთვის, საიდანაც იქნებიან ინვესტორები მოზიდული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვენჩურული ინვესტიციების ტიპების შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოება.

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

სიტუაციის ანალიზი

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია საწარმოთა გასვლა ექსპორტზე და მათი ინტერნაციონალიზაცია, რასაც წინ უძღვის საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდა.

2019 წლის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოებს მთლიანი ექსპორტის 49% უკავია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი შემცირდა 2015 წლის თითქმის 60%-დან. ეს იმ ფონზე, როცა მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების 99.7%-ს შეადგენენ. შესაბამისად, არსებობს ექსპორტის მიმართულებით მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სერიოზული პოტენციალი.

დიაგრამა 12. საწარმოების წილი ექსპორტში საწარმოთა ზომის მიხედვით (%)



*წყარო: საქსტატი (*წინასწარი)*

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ფართო ქსელი, რაც საქართველოში მოქმედ ბიზნესებს აძლევს წვდომას მსოფლიო ბაზრის 1/3-ზე. არსებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. მეზობელი ქვეყნების ბაზრებისგან განსხვავებით, ევროკავშირის ბაზარი ჯერ კიდევ აუთვისებელია და ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს ქართულ ბიზნესებს.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიმართულებით DCFTA-ის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერიოდულად იმართება ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები როგორც კერძო სექტორთან, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან. შემუშვებულია DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წლები) სამოქმედო გეგმა, რომლის მიზნებს შორისაა მეწარმეთა ცნობიერების ამაღლებაც. ასევე, მუშავდება უფრო დეტალური ყოველწლიური გეგმები. შექმნილია სპეციალური ვებ-გვერდი DCFTA.gov.ge, სადაც განთავსებულია ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის ცალკე ფანჯარაა მეწარმეებისათვის, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ ვებ-გვერდზე თავსდება DCFTA-ისთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო აქტის პროექტი, რათა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, მეწარმეებს მიეცეთ საშუალება კომენტარების გაკეთების, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას.

თუმცა, მიუხედავად ძალისხმევისა, ქართველ მეწარმეებს შორის ჯერ ისევ დაბალია ცნობიერება DCFTA-ის შესაძლებლობებზე და პოტენციალზე. არსებული კომპანიები მეტად არიან ორიენტირებულნი მეზობელ ქვეყნებზე, როგორც მათთვის უფრო ნაცნობ და ხელმისაწვდომ ბაზრებზე.

ზემოაღნიშნულ პრობლემას დაბალი ცნობიერების გარდა აქვს წმინდა ობიექტური მიზეზებიც. ევროკავშირის ბაზარი შესაძლებლობებთან ერთად მთელ რიგ გამოწვევებს მოიცავს. მაღალი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება საკმაოდ რთული და ძვირია, მოითხოვს შესაბამის კომერციულ კავშირებს, კვალიფიკაციასა და ფინანსურ რესურსებს.

შესაბამისად, DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია კიდევ უფრო მეტ გამოწვევებთან არის დაკავშირებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

მეწარმეებისთვის გამოწვევად რჩება საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ფლობა, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ინფორმაციაზე წვდომა და კონსულტაციის მიღება შესაძლებელია რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუციაში, მათ შორის, სსიპ „აწარმოე საქართველოსა“ და ღვინის ეროვნულ სააგენტოში. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მნიშვნელოვანი გამოწვევაა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი, ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღება. არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს

მანქანა-დანადგარების გადაიარაღება, ეფექტური მარკეტინგის წარმოება და გაყიდვების არხების განვითარება. ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორად კერძო სექტორის მხრიდან ასევე სახელდება საქონლის ტრანსპორტირების და შენახვა/დასაწყობების მაღალი ხარჯები. ხშირ შემთხვევაში მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ საჭირო ფინანსური რესურსი, რომ დამოუკიდებლად უზრუნველყონ საკუთარი მონაწილეობა სხვადასხვა მიზნობრივ საერთაშორისო გამოფენებსა და ღონისძიებებში. ხსენებულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი როლი უკავია სახელმწიფო უწყებების მიერ თანადაფინანსების მექანიზმების არსებობას, რაც ხელს უწყობს ბიზნესის შემდგომ გაფართოვებასა და განვითარებას.

კვლავ გამოწვევად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესების ინტერნაციონალიზაცია. მცირე და საშუალო საწარმოთა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა შორის კავშირების დამყარება (FDI-SMEs linkages), თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართვას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

ამ მიმართულებით, შესაძლებელია განიხილებოდეს მეწარმეებისა და მიმწოდებლების შესახებ სტრუქტურირებული ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების დაკავშირებას საქართველოში მოქმედ მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ ევროპული საწარმოთა ქსელის (EEN - Enterprise Europe Network) პარტნიორებია, რომელიც აერთიანებს 600-მდე ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, ტექნოლოგიურ ცენტრებს, განვითარების ორგანიზაციებს. EEN-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ადგილობრივ და ევროპულ კომპანიებს შორის კონტაქტების დამყარებას, მიუხედავად 2015 წლიდან ქსელში სააგენტოთა ჩართულობისა, ეს შესაძლებლობა ჯერჯერობით სრულად არ არის ათვისებული და მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

გარდა ამისა, საექსპორტო ბაზრებზე, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების დაძლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შიგნით ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს. საქართველო წარმატებით ახორციელებს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის რეფორმას DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი არის დინამიური და უნდა გაგრძელდეს, ასევე, უნდა გაძლიერდეს კერძო სექტორის ცოდნა ხარისხის ინფრასტრუქტურის მნიშვნელობასა და იმ სარგებელზე, რაც კარგად განვითარებულმა ხარისხის ინფრასტრუქტურამ შეიძლება შექმნას საერთაშორისო ვაჭრობაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, GIZ-ის კლასტერები განვითარებისათვის (Clusters4Development) პროექტთან თანამშრომლობით (ევროკავშირისა და გერმანიის

მთავრობის დაფინანსებით), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ამუშავებენ საქართველოში კლასტერების განვითარების ჩარჩო დოკუმენტს. დოკუმენტი იქნება ერთგვარი გზამკვლევი ეროვნული კლასტერების პროგრამის განვითარებისათვის, განსაზღვრავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო გარემო პირობებს, აღნიშნავს პოლიტიკის დონეზე კლასტერების განვითარებისათვის გასატარებელ აქტივობებსა და ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

მიზანი

მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის გზით მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ამოცანები

ამოცანა 4.1 საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესების მეტად ჩართვა საერთაშორისო ვაჭრობაში, მათთვის ექსპორტის შესაძლებლობების მხარდაჭერის გზით. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია როგორც არსებულ მოთხოვნებთან ადაპტაციაში დახმარება, ისე საინფორმაციო უზრუნველყოფა საექსპორტო ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია მეწარმეების საექსპორტო ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება და საექსპორტო ბაზრებზე მოქმედ კომპანიებთან კავშირების დამყარების გზით, მათი საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა, ისევე როგორც ბაზრის კვლევებისა და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით მეწარმეთა ცოდნის გაუმჯობესება ბაზრის ტენდენციებისა და პოტენციური კონკურენტების შესახებ.

4.2 DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაგრძელდება DCFTA-ის მოთხოვნების და შესაძლებლობების შესახებ მცირე და საშუალო მეწარმეთა ინფორმირება ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების გზით. გარდა ამისა, გაგრძელდება სახელმწიფო საინფორმაციო კამპანია DCFTA-ის შესახებ.

4.3 ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (QI), მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების მიზნით გაგრძელდება მისი რეფორმირება, შესაბამის QI საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში მონაწილეობის

გაუმჯობესების გზით; ასევე დაინტერესებული პირებისათვის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და მეტროლოგიის სფეროში დამკვეთებისათვის შეთავაზებული სერვისების, მათ შორის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისების, დიაპაზონის და/ან სფეროების გაზრდით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატების თუ სხვა შესაბამისი დოკუმენტების აღიარების არეალის გაფართოება, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების უფრო ფართოდ გამოყენების ხელშეწყობის გზით.

4.4 ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება

მცირე და საშუალო კომპანიების და საერთაშორისო მსხვილი კომპანიების კავშირების გაძლიერების მიზნით, მოხდება ინფორმაციის კონსოლიდირება მეწარმეების და მათი პროდუქციის შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავდება მცირე და საშუალო მეწარმეთა ბაზა.

პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის

სიტუაციის ანალიზი

ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების ბიზნესში დანერგვის დაბალი მაჩვენებელი კომპანიების წარმოების არაეფექტიანობის და დაბალი დამატებული ღირებულების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია.

მიუხედავად სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებების მიხედვით ქვეყნის წინსვლისა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომპონენტში, აღნიშნული საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება და შემდგომ განვითარებას საჭიროებს. კერძოდ, 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ინოვაციის შესაძლებლობის ქვეთავში საქართველო 91-ე ადგილზეა. ასევე, INSEAD-ის 2020 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსის (GII) მიხედვით, საქართველოს 131 ქვეყანას შორის 63-ე ადგილზეა 31.78 ქულით, აქედან, ბიზნესის ტექნოლოგიურობის დონის კომპონენტში საქართველო 79-ე ადგილზეა.

პრობლემას წარმოადგენს ინოვაციური ბიზნესების დაფინანსების საკითხი. ამ მხრივ, ძირითადად ხელმისაწვდომია სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული დაფინანსება, ხოლო კერძო დაფინანსება ან მისი მოზიდვის ინსტრუმენტები

ფაქტობრივად არ არსებობს. ამ პრობლემას ამწვავებს ნაკლებად განვითარებული კაპიტალის ბაზარი და ძირითადად საბანკო დაფინანსების ხელმისაწვდომობა, რომელიც შეზღუდულია დამწყები ინოვაციური კომპანიებისთვის, მათი მაღალი რისკიანობიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულის გარდა, ძალზედ მნიშვნელოვანია ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებზე და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ბიზნესების ფართო წვდომის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით, უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა და მიმდინარე რეფორმებმა ხელი შეუწყო ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების თანამედროვე ტექნოლოგიებით განვითარებას, თანამედროვე სერვისების დანერგვას და გაზარდა მათი მოხმარების დონე, როგორც სახელმწიფოს მიერ, ასევე მოსახლეობაში და ბიზნესებში.

2019 წლის მდგომარეობით, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ავტორიზებული პირების შემოსავალმა 1.2 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 16.2%-ით მეტია. გარდა ამისა, 2019 წლის ბოლოს, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობამ 941 000 მიაღწია, რაც 94.7%-ით მეტია 2012 წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობაზე 80.8% შეადგინა. ამასთან, მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა 3.2 მილიონს აღწევს, ხოლო მისი სიმკვრივე მოსახლეობაზე 93%-ს შეადგენს. მობილური ოპერატორების აბონენტების რაოდენობამ 2019 წლის ბოლოს 5.38 მილიონი შეადგინა და 100 მოსახლეზე სიმკვრივე 156%-ს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ არსებობს ფართოზოლოვანი ქსელების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, სოფლად ან მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ან მოწყვლადი ჯგუფები შეიძლება არ იყვნენ დაკავშირებულნი ფართოზოლოვან, მაღალი ხარისხის ინტერნეტთან, ისევე, როგორც არ იყვნენ ჩართულები უკვე არსებულ ციფრულ ქსელებში. აღნიშნული პრობლემების დაძლევაში განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანონ მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებმა.

ამასთან, კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა ფართოზოლოვანმა ინტერნეტ ქსელებმა და მათმა გამართულმა ფუნქციონირებამ ქვეყანაში კრიტიკულად აუცილებელი მომსახურებების უზრუნველყოფის გასაგრძელებლად. ასევე, პანდემიამ მკვეთრად წინ წამოწია ელექტრონული კომერციის განვითარების აუცილებლობა და ამ მხრივ, მეწარმეების, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო მეწარმეების ცოდნისა და შესაძლებლობების გაზრდა.

მიზანი

მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით

ამოცანები

5.1 ინოვაციური დაფინანსების განვითარება

მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდისთვის, ასევე ქვეყანაში ინოვაციების დონის ამაღლებისთვის, მნიშვნელოვანია შესაბამისი დაფინანსების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, გაგრძელდება და განვითარდება როგორც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის პროგრამები, ისე აუცილებელია კერძო დაფინანსების ინსტრუმენტების განვითარება, მათ შორის, კაპიტალის ბაზრის განვითარების გზით.

5.2 ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა

მცირე და საშუალო მეწარმეობის მიერ ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის განხორციელდება როგორც შესაბამისი საკონსულტაციო სერვისების დანერგვა, ისე საგანმანათლებლო ტრენინგების შეთავაზება.

5.3 საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

თანამედროვე სამყაროში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობას. მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია აუცილებელია ინდუსტრია 4.0-კენ მიმავალ გზაზე, რამდენადაც იგი დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნეს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში და უფრო ძლიერი ციფრული უნარები ხელს შეუწყობს ციფრული ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობების შექმნას. ამ მიზნით, ერთის მხრივ, აუცილებელია შესაბამისი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურებების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, მეწარმეთა ციფრული უნარების განვითარება შესაბამისი ტრენინგების შეთავაზების გზით.

5.4 ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება სახელმწიფო პროგრამა და შეიქმნება ღია დაშვების საბითუმო მომსახურებები ისეთ დასახლებულ პუნქტებში, სადაც კერძო ოპერატორების მიერ არ იგეგმება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მომდევნო 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში შექმნილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ ქსელი უპასუხებს

ტექნოლოგიური განვითრების და ახალი თაობის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების გამოწვევებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ქვეყნის იმ მაღალმთიან რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფა სათემო ინტერნეტიზაციის ღონისძიებებით, სადაც მოსახლეობა 200-ზე ნაკლებია და მათ არ ფარავს სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამა (ასევე არამომგებიანია კერძო სექტორისთვის).

5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება

მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების გამართვა და იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება

საქართველოში ბიზნესსა და მეცნიერებას შორის კავშირები არის სუსტი და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია ფაქტობრივად არ არსებობს. კვლევასა და განვითარებაზე დანახარჯები ძირითადად კონცენტრირებულია საჯარო სექტორში, შესაბამისად მნიშვნელოვანია, მოხდეს ახალი ტექნოლოგიების და ცოდნის გადაცემა კერძო სექტორზე, რომლის გამოყენება მოხდება ახალი პროდუქტების, სერვისების და ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და არსებულის გაუმჯობესებისთვის. საქართველოს სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციისთვის, რომლებიც პასუხობენ ბაზრის საჭიროებებს კარგი დასაწყისია ტექნოლოგიის გადაცემის საპილოტე პროგრამა - "ინოვაციური პროექტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა" (2.7 მილიონი ევრო). პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიის გადაცემის პილოტს ახორციელებს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) მსოფლიო ბანკის ჯგუფის ტექნიკური მხარდაჭერით. საპილოტე პროგრამის შემდეგ დღის წესრიგში დადგება შედეგების მასშტაბირება ინოვაციების აქტორების ეფექტურობის ასამაღლებლად და ინდუსტრიასა და მეცნიერებას შორის კავშირების გასაზრდელად.

პრიორიტეტი 6: ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

სიტუაციის ანალიზი

საქართველოს მთავრობა აღიარებს მცირე და საშუალო მეწარმეობაში ქალთა უფლებებს, ცოდნასა და პოტენციალს, ასევე ბიზნესის შესაძლებლობებზე, მათ შორის ფინანსებზე ქალებისა და კაცების არათანაბარი წვდომის პრობლემას. შესაბამისად, მოცემული სტრატეგიის ამოცანებით და აქტივობებით, მთავრობა შეიმუშავებს და განახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს ქალების სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერებისა და ათვისებისთვის.

საქსტატის 2020 წლის მონაცემებით, ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის (აქტიურობის) მაჩვენებელი შეადგენს მხოლოდ 40.4%-ს, კაცების 62%-თან შედარებით (აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლისთვის ქალებისთვის 46.2%-ს და

მამაკაცებისთვის 66.3%-ია). საქართველოში სულ დასაქმებული პირებიდან ქალების წილი 44%-ია (45.8% 2015 წელს). ამასთან, 2020 წელს დასაქმებული ქალების 23.9% არის თვითდასაქმებული (კაცების - 38.2%). აღნიშნული მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 2015 წლის შემდეგ (2015 წ. - 31.4%) მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო კაცების შემთხვევაში გაიზარდა (2015 წ. - 36.3%). რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა თანაფარდობას სქესის მიხედვით, 2020 წელს, დაქირავებით დასაქმებულ ქალთა და კაცთა რაოდენობას შორის სხვაობა მინიმალურია კაცთა სასარგებლოდ. კერძოდ, დაქირავებით დასაქმებულ ქალთა წილი 49%-ს, ხოლო დაქირავებით დასაქმებული კაცების ანალოგიური მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს. თუმცა 2019 წელს აღნიშნული მონაცემი ქალებთან მიმართებით 50,3%-ს, (451 400 დაქირავებით დასაქმებული ქალი), ხოლო კაცებთან მიმართებით 49.7%-ს (446 200 დაქირავებით დასაქმებული კაცი) შეადგენდა.

რაც შეეხება სიღარიბის მაჩვენებელს (სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მყოფი მოსახლეობის წილი), აღნიშნული მაჩვენებელი, 2020 წელს ქალებთან მიმართებით 20.9%-ს, ხოლო კაცებთან მიმართებით 21.7%-ს შეადგენს.

საგულისხმოა უთანასწორობა, რომელიც ფიქსირდება სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა) განაწილების მხრივ სქესის მიხედვით. კერძოდ, 2020 წელს ქალებისთვის 64%, ხოლო კაცების მხოლოდ 36% იყო ეკონომიკურად არააქტიური. აღნიშნული მაჩვენებელი ნათლად გამოხატავს გამოწვევას, რომელიც უკავშირდება ქალთა აუთვისებელ პოტენციალს და ამასთან, ადასტურებს ქალთა ეკონომიკურ ცხოვრებაში მეტად ჩართვისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

რაც შეეხება ხელფასებს, 2019 წლის მონაცემებით, ქალების საშუალო ნომინალური თვიური ხელფასი შეადგენს 869.1 ლარს, ხოლო კაცების - 1361.8 ლარს. 2015 წელს იგივე მონაცემები ქალებისათვის 692.5 ლარს და მამაკაცებისათვის 1074.3 ლარს შეადგენდა. რაც შეეხება გენდერულ სახელფასო სხვაობას, იგი შემდეგია: 2015 წელი - 35.5%; 2016 წ -34,5%; 2017-35,7%; 2018-35,8%; 2019-36,2%.

გენდერული უთანასწორობა წარმოდგენილია არა მხოლოდ ზოგად სტატისტიკურ მაჩვენებლებში, არამედ, ბიზნეს სექტორის მონაცემებშიც. კერძოდ, 2019, ბიზნეს სექტორში დასაქმებულ ქალთა წილმა 41%, ხოლო კაცის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 59% შეადგინა. რაც შეეხება საშუალო ნომინალურ თვიურ ხელფასს 2019 წელს, ქალებისთვის ეს მონაცემი 864.7 ლარი, ხოლო კაცებისთვის 1380.5 ლარია. ქალის ხელფასი, კაცის ხელფასის 63%-ია, ხოლო გენდერული სახელფასო სხვაობა 37%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უთანასწორობა მეტად ფიქსირდება მცირე საწარმოებში, სადაც ეს მაჩვენებელი 43%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც მსხვილ საწარმოებში გენდერული სახელფასო სხვაობა 34%-ია.

ასევე საყურადღებოა, ბიზნეს აქტივობის კუთხით არსებული სტატისტიკა სქესობრივ ჭრილში. ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა მფლობელებში საგრძნობლად

(თითქმის ორჯერ) ჭარბობენ მამაკაცები[24] და ეს ტენდეცია წლების განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელია. ასევე, მეწარმეობა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კაცების 6.5%-თვის, ხოლო ქალების 2.6%-თვის[25].

ამასთან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროექტებში ქალების მონაწილეობა შემდეგი სახით გამოიყურება: „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამაში[26] ქალი ბენეფიციარების წილი 2018 წლის მონაცემებით 45.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროგრამებს, აქ ქალი და კაცი ბენეფიციარების პროპორცია მეტად არათანაბარია კაცების სასარგებლოდ. კერძოდ, 2014-2019 წლებში, შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ბენეფიციარებს შორის ქალი ბენეფიციარების წილი მხოლოდ 7.6%-ს შეადგენს.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით ნათელია, რომ ქალებს მნიშვნელოვანი გამოუყენებელი სამეწარმეო პოტენციალი გააჩნიათ, რომლის ათვისება სხვადასხვა კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გამო შეფერხებულია.

ამასთან, კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქალ დასაქმებულებზე და მეწარმეებზე, ვინაიდან ქალი მეწარმეები დომინირებენ იმ ინდუსტრიებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა კრიზისის დროს (ტურიზმი, ვაჭრობა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ განახორციელა ანტიკრიზისული გეგმის რამდენიმე ეტაპი, რომელიც სხვა დახმარებებს შორის მოიცავდა პირდაპირ ფულად გადარიცხვებს და სუბსიდირებულ სესხებს დაზარალებული მეწარმეებისთვის, თვითდასაქმებული და ასევე არაფორმალური მუშაკებისთვისაც (მაგ., ძიძები). კოვიდ პანდემიის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით მწვავედ აისახა ქალებზე. ამის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ, სხვადასხვა მექანიზმებით, მნიშვნელოვანი მიზნობრივი დახმარებები უზრუნველყო დაზარალებული ქალებისთვის, იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეემცირებინა მათზე კრიზისის დამაზიანებელი გავლენა. კერძოდ, ჯამში 175 000-მდე ქალ ბენეფიციარმა, რომელიც იყო დაქირავებით დასაქმებული და დაკარგა სამსახური, ან უხელფასო შვებულების აღებამ მოუწია, სახელმწიფოსგან 128 მლნ ლარამდე მიზნობრივი დახმარების პაკეტი მიიღო. ქალ ბენეფიციართა რაოდენობა 21%-ით აღემატება ბენეფიციარი კაცების რაოდენობას, რომელიც 145 000-ია, ხოლო ქალებზე გაცემული ფულადი დახმარება 23%-ით ჭარბობს კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს, რომელიც 104 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს მთავრობამ მიზნობრივი დახმარება

[24] საქსტატის 2019 წლის მონაცემები

[25] საქსტატი, აზიის განვითარების ბანკი, 2018 წლის პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე;

[26] პროგრამის მიზანია საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით

უზრუნველყო დაზარალებული თვითდასაქმებული ქალებისთვისაც. ამ მიმართულებით, ჯამში, 198 000 ქალი ბენეფიციარისთვის (მთლიანი ბენეფიციარების 46%) 60 მლნ ლარის ოდენობის ფულადი დახმარება გაიცა.

გარდა ამისა, პანდემიამ და მისგან გამომდინარე შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა სასწავლო პროცესზე, გამოიწვია ბაღების და სკოლების დახურვა და დააყენა ბავშვების სახლში მოვლის საჭიროება, რაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არაპროპორციულად ნაწილდება ქალსა და კაცს შორის.

ზოგადად, ქალების სამეწარმეო აქტივობას აფერხებს სხვადასხვა კულტურული სტერეოტიპები, თუმცა დაბრკოლებას ქმნის ცალკეული პრაქტიკული ასპექტებიც. კერძოდ, როგორც ცნობილია ქალების მიერ უძრავი ქონების, მათ შორის მიწის ფლობის მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება იგივე მაჩვენებელს კაცების შემთხვევაში. უფრო კონკრეტულად, სამეურნეო მიწის დოკუმენტირებული მფლობელებიდან მხოლოდ 16% არის ქალი[27]. შესაბამისად, როდესაც საუბარია ფინანსებზე წვდომაზე, სადაც ადგილი აქვს კომერციული ბანკების დომინირებას, ხოლო საბანკო კრედიტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის საკითხი, აღნიშნული მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალების მიერ ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ქალი მეწარმეები იძულებულები არიან მეტად დაეყრდნონ პირად ფინანსებს. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა დგას რეგიონებში.

შესაბამისად, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანია ქალების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიური პრობლემების და თავისებურებების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული ინსტრუმენტების შემუშავება.

ამასთან, კვლავ პრობლემურად რჩება ქალების მხრიდან სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ხელმისაწვდომობა, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტორების, ისე გარკვეული უნარ-ჩვევების, მათ შორის ციფრული უნარ-ჩვევების არქონის გამო. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ არ ხდება სახელმწიფო პროგრამების შედეგების გენდერულ ჭრილში დამუშავება, რაც ობიექტური სურათის განსაზღვრის შესაძლებლობას მისცემდა სახელმწიფოს და რომლის საფუძველზეც მოხდებოდა შესაბამისი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავება და განვითარება.

სხვადასხვა ტიპის სტერეოტიპების დაძლევა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. აუცილებელია ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების განგრძობადი კამპანიის და სპეციალური ტრეინინგების წარმოება.

ზემოაღნიშნული პრობლემების დაძლევისთვის, ასევე მნიშვნელოვანია შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში გენდერული მიდგომების განვითარების

[27] საქსტატი, აზიის განვითარების ბანკი, 2018 წლის პილოტური კვლევა

შესაძლებლობების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გენდერულად სენსიტიური პროგრამების და ინსტრუმენტების შემუშავებას.

მიზანი

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით ქალების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება

ამოცანები

6.1. „ქალთა გაძლიერების პრინციპების“ (WEPs) პოპულარიზაცია

სხვადასხვა ტიპის ბარიერისა და სტერეოტიპის დასაძლევად, მნიშვნელოვანია ყველა შესაბამისი აქტორის მიერ საკუთარი როლის გააზრება და შესაბამისი ქმედება. სახელმწიფოს შეუძლია „ქალთა გაძლიერების პრინციპების“ პოპულარიზაცია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების გზით საკუთარ ბენეფიციარ მეწარმეებს შორის, განსაკუთრებით რეგიონებში. ციფრული ეკონომიკა ეყრდნობა ე. წ. „STEM“ უნარების მქონე მუშაკებს. სპეციალური ჩარევების გარეშე, STEM–ში ქალთა შეზღუდული მონაწილეობა ხელს არ შეუწყობს მზარდი რაოდენობის ტექნიკურ სფეროებში ქალთა ჩართულობის გაზრდას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აღმოიფხვრას/შემცირდეს ხელის შემშლელი ფაქტორები „STEM“ სფეროში კვლევითი საქმიანობისა და დასაქმების ”არატრადიციულ” სფეროებში ქალების ჩართულობისთვის. აღნიშნულისთვის მნიშვნელოვანი იქნება დამოკიდებულების და მიდგომების შეცვლა, მასწავლებელთა ტრენინგის გაუმჯობესება, გოგონებისთვის სტაჟირების, მისაბაძი მაგალითებისა და მენტორების შეთავაზება. ასევე მნიშვნელოვანია პროცესში არასამთავრობო სექტორის და დონორების ჩართულობა და მათი აქტივობა.

6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში

არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური სურათის ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამების შედეგების სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, სამომავლოდ შესაბამისი კორექტივები შეიტანოს საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვაში და განხორციელებაში.

6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალების მონაწილეობის წახალისება

სახელმწიფო პროგრამებში ქალების მონაწილეობის წახალისებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინება. მათ შორის, მნიშვნელოვანია უპირველეს ყოვლისა ბენეფიციართა შერჩევისას ქალების მონაწილეობის სპეციფიკის გათვალისწინება. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული ასპექტი მეტად

გათვალისწინებულია აწარმოე საქართველოს გრანტების კომპონენტში. სხვა პროგრამებში აღნიშნულის გათვალისწინება შეზღუდულად ხდება ან პრაქტიკულად არ ხდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ყველა იმ პრაქტიკული ბარიერის გათვალისწინება, რასაც ქალი მეწარმეები აწყდებიან და შესაბამისი მხარდაჭერის ინსტრუმენტების შეთავაზება. ასევე, საგულისხმოა ქალი მეწარმეების შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე სახელმწიფო პროგრამების შესახებ, განსაკუთრებით რეგიონებში. ამ პროცესში გასაძლიერებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი.

6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება

ქალი მეწარმეების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე და სხვა ინფორმაციაზე წვდომის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას მისცემს ქალ მეწარმეებს, უკეთ შეისწავლონ ბაზარზე არსებული მოთხოვნები და ტენდენციები, პანდემიის პირობებში, სახლიდან გაუსვლელად აწარმოონ საკუთარი ბიზნესი და დანერგონ ელექტრონული კომერცია.

6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის

გენდერული კუთხით სენსიტიური მიდგომების და პოლიტიკის ეფექტიანი შემუშავების და განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურებში შესაბამისი კვალიფიკაციის გაჩენა და გაძლიერება. ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად დაიგეგმება და განხორციელდება საჯარო მოხელეების ტრენინგები გენდერის გავლენის შეფასების (GIA) საკითხებში.

პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

სიტუაციის ანალიზი

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში სამეწარმეო საქმიანობაში ეტაპობრივად დაიწყო გარემოსადმი მეგობრული ქმედებების დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკაში მწვანე განვითარების მიმართულებების გაძლიერებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების ფართოდ დანერგვას.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 301-ე მუხლის მიხედვით „მხარეებმა უნდა განავითაროონ და გააძლიეროონ თანამშრომლობა გარემოსდაცვით საკითხებზე, რათა ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი ამოცანის შესრულებას“.

აღნიშნული საკითხი ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2016 შეიმუშავა მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტის პირველი მონახაზი GIZ-თან თანამშრომლობითა და მისი მხარდაჭერით, რომელშიც განსაზღვრა მწვანე ეკონომიკის განვითარების სავარაუდო

მიმართულებები. 2021-2025 წლებში დაგეგმილია მწვანე ზრდის კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საქართველოს მწვანე ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია მრავალი მიმართულებით. ამასთან, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხრივ განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ეკოტურიზმის პოტენციალის გამოყენება; სოფლის მეურნეობაში ეკოწარმოების დანერგვა; სასოფლო-სამეურნეო მიწების პროდუქტიულობის გაზრდა და ამასთან, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2021-2031 წლების ეკოტურიზმის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავების პროცესშია[28]. სტრატეგიის ხედვაა, რომ საქართველო გახდეს ოთხი სეზონის წამყვანი ეკოტურისტული მიმართულება კავკასიის რეგიონში, მისი ბუნებრივი პირობების და მაღალი ხარისხის მომსახურების გათვალისწინებით. სტრატეგია აერთიანებს 5 მიზანს და შესაბამის ღონისძიებებს: 1. ავთენტური, მაღალი ხარისხის, ოთხი სეზონის ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება; 2. ეკოტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა და მათი შემოსავლების გაზრდა; 3. ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება; 4. ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნება; 5. ეკოტურიზმის მართვა ყველა დონეზე.

ენერგოეფექტურობის მიმართულების განვითარების მხრივ, დაწყებულია მუშაობა ენერგეტიკულ გაერთიანებასთან ენერგოეფექტურობის განახლებული დირექტივის გადმოღებაზე, რომლის მიხედვით მომზადდება ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმა (NECP), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმის ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული მაღალი დონის სტრატეგიული ხედვა მწვანე ზრდის მიმართულებით.

ასევე, მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა როგორც საკანონმდებლო, ისე აღსრულების ნაწილში, ჯერ ისევ პრობლემად რჩება თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა მეწარმეობაში და საქართველოს ამ მხრივ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს გასატარებელი, განსაკუთრებით ცნობიერების ამაღლების ნაწილში.

ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება მწვანე ეკონომიკის განვითარებისა და ქვეყანაში თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების ეფექტიანი აღსრულების მიმართულებით. თუმცა, ამ პროცესს აფერხებს მთელი რიგი ფაქტორები.

[28] დოკუმენტზე მუშაობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო GIZ-ის მხარდაჭერით.

უპირველეს ყოვლისა, პრობლემად რჩება ფინანსებზე წვდომა. გრძელვადიანი ფინანსური რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობა ხელს უშლის მეწარმეებს განახორციელონ ინვესტიციები რესურსეფექტურ ტექნოლოგიებში და განავითარონ „მწვანე“ ბიზნესი.

საქართველოში „მწვანე“ ფინანსების ხელმისაწვდომობა საკმაოდ შეზღუდულია. კომერციული ბანკები ძირითადად იყენებენ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ გამოყოფილ „მწვანე ფინანსებს“. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გამოყვეს 400 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი 8 კომერციული ბანკისთვის, ამან ვერ აღმოფხვრა რესურსების მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელმისაწვდომობის პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რესურსების ძირითადი ნაწილი მიმართულია განახლებადი ენერგიის (ჰიდროელექტროსადგურების, ქარის სადგურების) პროექტების დაფინანსებაზე და ძირითადად მიდის მსხვილ კომპანიებსა და პროექტებში. ამავე დროს, შეთავაზებული სესხის ოდენობა როგორც წესი ძალიან დიდია მცირე და საშუალო კომპანიებისთვის.

მცირე და საშუალო საწარმოები ოპერირებენ უფრო დაბალი დამატებული ღირებულების სექტორებში, როგორიცაა ვაჭრობა. ამ პირობებში, აღნიშნულ მეწარმეებს შეზღუდული აქვთ მწვანე ეკონომიკის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კვლავ დაბალია ცნობიერება „მწვანე“ ეკონომიკის შესაძლებლობების და სარგებლის შესახებ. უფრო მეტიც, დაბალია მათი ცოდნა საქართველოში უკვე დანერგილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და პრაქტიკის შესახებ. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მიზანი

მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა

ამოცანები

7.1 მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება

მწვანე ზრდის მიმართულებით მთავრობის ხედვისა და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების განსაზღვრისთვის მოხდება შესაბამისი კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება. მწვანე ზრდის კონცეფციის პროექტში, რომელიც წარმოადგენს მწვანე ზრდის სტრატეგიის წამყვან ფაზას, განისაზღვრება მწვანე ეკონომიკაში ჩარევის შესაძლო მიმართულებები (მრეწველობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, მშენებლობა,

ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მყარი ნარჩენების მართვა, ტყე და ბიომრავალფეროვნება).

7.2 ეკო-ინოვაციის[29] მიდგომის პოპულარიზაცია

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის ეკო-ინოვაციის პოპულარიზაცია, მათი ინფორმირება და მათი ცნობიერების ამაღლება, ასევე ამგვარი მიდგომების დანერგვაში ხელშეწყობა. ამასთან, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ ვალდებულებებზე, არამედ დეტალურად იქნას გააზრებული ის გრძელვადიანი სარგებელი, რაც ამ მიმართულებების პრაქტიკაში დანერგვას ახლავს.

7.3 მწვანე დაფინანსების განვითარება

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს „მწვანე“ დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამ მიზნით, შესაძლებელია როგორც სახელმწიფო პროგრამებში შესაბამისი კომპონენტების ინტეგრირება, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით, კერძო სექტორში ფინანსური პროდუქტების მიმართვა მცირე და საშუალო მეწარმეების დაფინანსებისთვის. ასევე, ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, გარკვეული ჩარჩოს შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს, რომელი კონკრეტული ეკონომიკური აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს მდგრადი და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობისაკენ მიმართულ საქმიანობად. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც საფინანსო დაწესებულებებს, ასევე მეწარმეებს, უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს ნათლად განსაზღვრონ თავისი საქმიანობის მიმართულებები.

7.4 საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება

მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ეფექტიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება და განვითარება, მათ შორის ენერგოეფექტურობის მიმართულებით. 2019-2020 წლებში მიღებული კანონების, მათ შორის ენერგო ეტიკეტირების ენერგოეფექტურობის და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონების აღსრულება მოითხოვს შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებას და მიღებას.

[29] ეკო-ინოვაცია არის ახალი ბიზნეს მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მდგრადობას პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ასევე ზრდის კომპანიის მაჩვენებლებს და კონკურენტუნარიანობას. მას შეუძლია დაეხმაროს მცირე და საშუალო საწარმოებს ახალ და გაფართოებულ ბაზრებზე წვდომაში, მწარმოებლურობის ზრდაში, ახალი ინვესტიციების მოზიდვაში, გაზრდის მომგებიანობას ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით და დაეხმარება მათ არ ჩამორჩნენ რეგულაციებსა და სტანდარტებს, განსაკუთრებით მათ გარემოდაცვით რეგულაციებსა და სტანდარტებს.

7.5 ეკოტურიზმის განვითარება

მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის მიმართულებით როგორც სახელმწიფოს ერთიანი ხედვისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება, ისე პრაქტიკაში დანერგვა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და დაცული ტერიტორიების ზრდის გზით.

7.6 გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეთა გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზების გზით.

6. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

6.1 განხორციელება

საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრის ბრძანებით აღნიშნული მიზნით შექმნილი მმართველი საბჭო და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი[30]. მმართველი საბჭო იკრიბება, როგორც წესი წელიწადში 2-ჯერ, ხოლო დამატებით, საჭიროებიდან გამომდინარე. მმართველი საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას უზრუნველყოფს სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი[31], რომლის კოორდინაციის ფარგლებშიც, წარმატებით განხორციელდა ქვეყნის წინა - 2016-2020 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სამინისტრო უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობას. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ხელისუფლების თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გარანტი იქნება. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ამ მიზნით ასევე გამოყენებული იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

[30] საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოიცემა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ.

[31] მმართველი საბჭოს/ სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობის, ასევე, მათი და სამდივნოს ფუნქციების შესახებ საკითხები განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრის ამავე ბრძანებით

სამინისტროსთან შექმნილი კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარებული შეხვედრები.

სტრატეგიის პროექტს იწონებს მმართველი საბჭო, რაც ფორმდება საოქმო გადაწყვეტილებით და შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას. სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მისი ლოგიკური ჩარჩო, რომელიც N1 დანართის სახით ერთვის სტრატეგიის დოკუმენტს.

სტრატეგია განხორციელდება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების და მისი დანართების ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

სტრატეგია განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით.

სტრატეგიის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმები. სტრატეგია მოიცავს 2021-2025 წლებს, ხოლო პირველი სამოქმედო გეგმა გაიწერა 2021-2022 წლებზე. აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელების სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 593,476,724.00 ლარს. ამას გარდა, ცალკეული აქტივობათა განხორციელება დაგეგმილია ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში, ხოლო რიგ შემთხვევებში დონორთა მხარდაჭერით. შემდგომი წლების სამოქმედო გეგმა შემუშავდება ზემოაღნიშნული მმართველი საბჭოს და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ასევე მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის სამსახურის წარმომადგენელი. სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში, სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებების გარდა, ჩართული იქნებიან პარტნიორი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე საჭიროების შემთხვევაში სხვა საჯარო დაწესებულებები. ცალკეულ აქტივობებთან მიმართებით, სტრატეგიის განხორციელებაში აღნიშნული ორგანიზაციების ჩართულობა აისახება სამოქმედო გეგმებში, სადაც აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან ერთად, წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე მიეთითება ესა თუ ის პარტნიორი ორგანიზაცია.

სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სტრატეგიის განმახორციელებელი უწყების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა უწყებასთან შერწყმის შემთხვევაში, სტრატეგიის შესაბამისი ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს მისი უფლებამონაცვლე უწყება.

დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები დამტკიცების შემდეგ ქვეყნდება საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე www.economy.gov.ge

6.2 მონიტორინგი

საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანების შედეგების მიღწევის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესის დადგენის მიზნით, განხორციელდება სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგი. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი სამთავრობო ელექტრონული სისტემის ამოქმედების შემდგომ, სტრატეგიის მონიტორინგის პროცესი სრულად განხორციელდება ამ სისტემის ფარგლებში.

ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს ნახევარწლიურად და წლიურად. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან ითხოვს ნახევარწლიურ ინფორმაციას განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების პროგრესის შესახებ და ამზადებს ე.წ. ნახევარწლიურ პროგრეს ანგარიშს. აქტივობების განხორციელების დონის სტატუსები განისაზღვრება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მე-7 დანართის (მონიტორინგის ინსტრუქციის) შესაბამისად. ამასთან, სტრატეგიის თითოეული განმახორციელებელი უწყება ვალდებულია გამოყოს საკონტაქტო პირ(ებ)ი, რომელიც სრულად იქნება ინფორმირებული შესაბამისი უწყების აქტივობების შესახებ და პასუხისმგებელი - ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტისთვის ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაციის დროულ მიწოდებაზე.

ნახევარწლიური ანგარიშის შემდეგ, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან ითხოვს წლიურ ინფორმაციას განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების თაობაზე და ამზადებს მონიტორინგის წლიურ ანგარიშს, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სამოქმედო გეგმის აქტივობების შედეგების და ამოცანების შესრულების პროგრესზე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში მზადდება გეგმის განხორციელების დაწყებიდან ყოველი მომდევნო წლის გასვლის შემდეგ 60 კალენდარული დღის ვადაში. მონიტორინგის წლიური ანგარიში განსახილველად წარედგინება მმართველ საბჭოს, ხოლო საბჭოს მიერ ანგარიშის მოწონების შემდეგ, ანგარიში გაეგზავნება საქართველოს მთავრობის

ადმინისტრაციას. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, სტრატეგიის შესრულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოქვეყნდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე www.economy.gov.ge

6.3 შეფასება

საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნების მიღწევის და ამოცანების გრძელვადიანი შედეგების შესასწავლად, ასევე სტრატეგიის პრიორიტეული მიმართულებების განვითარებაზე გავლენის დადგენისა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენის მიზნით, მოხდება სტრატეგიის შეფასება.

სტრატეგიის შეფასება განხორციელდება პოლიტიკის ციკლის დასრულების ბოლო ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს 2026 წლის პირველი ნახევრისა.

სტრატეგიის შეფასება შეიძლება ჩატარდეს შიდა რესურსებით, რომელსაც განახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი ან შერეული მეთოდით, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტს შესაძლებელია დაეხმარონ დამოუკიდებელი ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტები, ან შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები.

სტრატეგიის შეფასების შედეგად მზადდება ანგარიში, რომელიც სტრატეგიის განმახორციელებელ უწყებებთან შეჯერების შემდეგ წარედგინება მმართველ საბჭოს. ანგარიში, მმართველი საბჭოს მოწონების შემდეგ, წარედგინება საქართველოს მთავრობას.

სტრატეგიის შეფასების ანგარიში, გამოქვეყნდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე www.economy.gov.ge